# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 20 ივლისი, 2013 წელი.

№136 (7263)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.


## კიდევ კარგი, რომ ვერ აკომპლექტებს!

**და რაც უფრო კარგია, ვერც ანი დააკომპლექტებს!**

„მტრისას, რაც იქ ნანუკამ აბჟუტურა თუ თავად „ოთხი დღის მათხუარმა“ იბოდიალა!

2



## თვითანალიზის ხელოვნება

8

## რატომ ეშინიათ ლუგარის ლაბორატორიისა?

3

**ხელისუფლებავ, დაგვიგდე ყური!**

# გამომცემლობა „სამშობლო“ — პრესის სახლი

**ახალი** ხელისუფლების მიერ ქვეყანაში სამართლიანობის დამკვიდრების საშვილიშვილო საქმეში, დიდი იმედია, აუცილებლად გათვალისწინებული იქნება სამშობლოს მსახური ჟურნალისტებისთვის ანტიდემოკრატი და პოლიტიკური ყაჩაღის, ცრუპრეზიდენტ სააკაშვილის მიერ წართმეული გამომცემლობა „სამშობლოს“ დაბრუნება პრესისთვის, რომელიც მთელი შემართებით მხარში edga დემოკრატიის, თავისუფლებისა და სამართლიანობისთვის ბრძოლას, ანუ იმ ჭეშმარიტად სახალხო ძალას, ეს სამართლიანობა ერთხელ და სამუდამოდ რომ უნდა დაამკვიდროს საქართველოში!...

„სამშობლო“ არ უნდა გაყიდულიყო, მაგრამ რადგან სამარცხვინო ვაჭრობის საგანი გახდა, ახალმა ხელისუფლებამ ეს უთუოდ დიდი ეროვნული დანაშაული იმით უნდა გამოასწოროს, რომ კაზინოებისა და ვაითუ კიდევ უფრო უარესი საქმისთვის გაყიდული „სამშობლო“ კვლავ ჟურნალისტებს უნდა დაუბრუნოს, და რაც შეიძლება მალე!



ქუჩაში გამოყრილი ათეულობით რედაქცია მოუთმენლად ელის ამ დღეს.

ამჟამინდელი მდგომარეობით პრესა ახალი ხელისუფლების გვერდით დგას, იმედია ხელისუფლებაც დადგება პრესის გვერდით!...

## ვეტერანები უკვე სრული დაზღვევით ისარგებლებენ

4

## ჩუბჩიკას უკანასკნელი საჩუქარი



6

## როგორ გაყიდეს ბერია თანამებრძოლებმა



11

**რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..**

◉ ვიზიტი

## ბიძინა ივანიშვილი დონალდ ტუსკს შეხვდა

**დაიწყო საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის პოლონეთში ვიზიტი. პრემიერის პრესსამსახურის ინფორმაციით, პირველი შეხვედრა ბიძინა ივანიშვილმა პოლონელ კოლეგა დონალდ ტუსკთან გამართა. შეხვედრა პოლონეთის პრემიერ-მინისტრის კანცელარიაში შედგა.** პირისპირ გამართულ შეხვედრაზე მხარეებმა ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთობების გაღრმავების პერსპექტივებზე იმსჯელეს. საუბარი შეეხო საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების საკითხს.

პირისპირ შეხვედრის შემდეგ გაფართოებული



ფორმატის შეხვედრა გაიმართა, რომელსაც საქართველოს დელეგაცია სრული შემადგენლობით დაესწრო.

◉ თანსინადეფსიანები

# კიდევ კარგი, რომ ვერ აკომპლექტებს!

## და რაც უფრო კარგია, ვერც აწი დააკომპლექტებს!

**საბედნიეროდ, ვერვინ დამწამებს მიხეილ თავხელიძის (პარლამენტის არჩევნებისწინა პერიოდში თავისი გამოკვეთილად „პრონაცური" პოზიციისთვის, უფრო სწორად, იმისთვის, რომ, საჭიროებისდაგვარად, ნაცთა სასარგებლოდ თავხედური ნირშეუცვლელობით იტყოდა თეთრზე შავიაო, სამართლიანად მონათლეს თავხედიძედ) მეკავშირეობასა, და მით უფრო, იმისი იდეა-შეხედულებების გამზიარებლობას, მაგრამ იმ ნააზრევში კი სავსებით ვეთანხმები, რომლითაც მას სოციალური ქსელით მიუმართავს სააკაშვილისთვის ტელევიზიით „ნანუკას შოუს" ბოლო გადაცემის ანონსირების გამო.**

**სწორედ ნანუკა ჟორჟოლიანის მსგავსმა ჟურნალისტებმა და ტელევიზიებმა დაგვღუპესო,** — უმტკიცებდა „თავხედიძე" სააკაშვილს, იგივე „ოთხი დღის მათხუარს", როგორც იმავე სო-




ციალურ ქსელში უწოდეს მას პრეზიდენტობის ვადის როგორმე, თუნდაც კიდევ ოთხი დღით გახანგრძლივების მცდელობის გამო.

აი, ერთი პატარა ამონარიდი ამ მართლაც შოუსთან დაკავშირებით ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში გამოქვეყნებული ჩემი მასალიდან:

> **„მტრისას, რაც იქ ნანუკამ აბჟუტურა თუ თავად „ოთხი დღის მათხუარმა" იბოდიალა!**
> **ამას ჩემნაირი „სუსტი" გულნერვების პატრონი ვერ გაუძლებდა და თავიდან ბოლომდე არც მიყურებია იმ „ცირკისთვის", რამდენიმეჯერღა „ჩავკარი თვალი".**

თითქოს ეს არ კმაროდაო და, მეორე დღეს უკვე „კურიერმა" არ აჩვენა ამ შოუს კადრები(მაშინ დავრწმუნდი „თავხედიძის" სიმართლეში)?

**კარგით რა, რა საჭიროა ამდენი ლუსტრაცია?!**

ერთი ამონარიდი უკვე „კურიერის" კადრებიდან:

> **„ — ახლა რომ ინიშნებოდეთ პრეზიდენტად, მინისტრთა კაბინეტი იგივე გეყოლებოდათო? — ეკითხება „მათხუარს" ნანუკა „მალუსტრირებელი".**
> **— არა, ყოველთვის უნდა მოხდეს განახლება. და ახლა მე დღეს რომ ვაკომპლექტებდე მინისტრთა კაბინეტს, ყველას ახალ ხალხს, ახალ ტვინებს მოვიყვანდი, ახალ...**
> **— ახალგაზრდებს... — შეეშველა ჟურნალისტი.**
> **— ახალგაზრდებსაც შეიძლება (ხმა უწვრილდება რესპონდენტს), ასაკი არ არის მთავარი, როგორც ამაში დავრწმუნდი. ჩვენ ადრე ავტომატურად გვქონდა, მოდი, მოვიყვანოთ ახალგაზრდები... ახლა უკვე იმდენი წელი გავიდა, რომ ახალი თაობა გაიზარდა. ეს ახალი თაობა ზოგჯერ არის 50 წლის და ახალ პირობებში გაიზარდა ახალი მენტალიტეტით. აი, ახლა რომ ახალ კაბინეტს ვაკომპლექტებდე, მთლიანად იქნებოდა ახალი ხალხი"...**

ეს ამონარიდი იმიტომ კი არ მომიყვანია, რომ მეჩვენებინა, ნახეთ, როგორ დაულაგებლად ლაპარაკობს ჩვენი „კოჭლი იხვიო" (ასე უწოდებენ აშშ-ში თითქმის ვადაამოწურულ პრეზიდენტს).

ეს რა საკადრისია (თუმცა, ერთიც კია — არის ზოგიერთი დარგი თუ საკითხი, რომლებზე მსჯელობისას სააკაშვილი „ზეპირსიტყვიერების" დროსაც თავს ისე ლაღად გრძნობს, როგორც თევზი წყალში. ასეთია, ვთქვათ, პოეზია — ავილოთ, თუნდაც რაბათის ციხის გახსნისას სააკაშვილის მიერ გამოვლენილი რუსთაველის „ლექსის" უბადლო ცოდნა თუ მუხრან მაჭავარიანისთვის იმისივე ლექსის „მოყოლის" მცდელობა, რაც ტელევიზიით ყველამ ვნახეთ)!

ეს ამონარიდი მოვიხმე მისი ბოლო ნაწილისთვის, **ახალ პირობებში ახალი მენტალიტეტი გაიზარდაო რომ ამბობს, და ახლა რომ ახალ კაბინეტს ვაკომპლექტებდე, მთლიანად ახალი ხალხი იქნებოდაო.**

**მადლობა ზევით ღმერთს და ქვევით ბიძინა ივანიშვილს, რომ, ჩვენდა საბედნიეროდ, ვერ აკომპლექტებს!**

მას რომ გაემარჯვა, რა გაუძლებდა „ვერხუშკაში", თუნდაც კობა ხაბაზის ყურებას, კიდევ 20-30 წელი ვიქნებით ხელისუფლებაშიო, დარწმუნებით რომ ამბობდა არჩევნებამდე (თუმცა კობას რას ვერჩი, „მამალი" ნაცების ფონზე იგი მართლაც კრავივით ჩანდა)?

**— სულ მცირე, 10-15 წელიწადი გვჭირდება ქვეყანაში ახალი მენტალიტეტის დასანერგადო, — ხომ გახსოვთ, როგორ ამტკიცებდნენ გნაცელები.**

**კიდევ კარგი, არ დასცალდათ, თორემ სულ მალე გავხდებით თუნდაც იმ „ცივილიზებული" ევროპის ღირსეული წევრი, სადაც ელტონ ჯონს რაინდად აკურთხებენ, აღიარებულ პედერასტს მერად თუ საგარეო საქმეთა მინისტრად ნიშნავენ, ხოლო სხვა მათნაირებს მათნაირებზევე დაქორწინების უფლებას უკანონებენ.**

და რაც უფრო კარგია, როგორც ქვესათაურში ვთქვი, მიშა, საბედნიეროდ, ვერც აწი დააკომპლექტებს ახალ მინისტრთა კაბინეტს.

და ეს კარგია მარტო ჩვენთვის კი არა, ძირითადად იმ „ახალი ხალხისთვის" და იმათი ოჯახების წევრებისთვისაც, ვისითაც დააკომპლექტებდა მიშა ახალ მინისტრთა კაბინეტს.

**და იცით, რატომ? იმიტომ, რომ თუ მათ შეიყვანდნენ მინისტრთა კაბინეტში, ხალხი მიხვდებოდა, რომ თურმე ისინიც, განაცმოძრაობელთა დარად, თანსინადეფსიანები (თანდაყოლილი სინდის-ნამუსის დეფიციტის სინდრომიანები) ყოფილან!**

**ალბათ, დამეთანხმებით, გაუმართლათ!**

**რუსლან რუსია**

◉ ვითხოვ ყურადღებას!

## საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ფორმულები

**როგორც ცნობილია, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა დარღვეულია.**

**რუსეთმა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა ცნო.**

**აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში რუსეთის ჯარი დგას.**

**რუსეთი ევროსაბჭოს რეზოლუციებს არ ასრულებს.**

**დასავლეთი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მომხრეა, რაც მორალური მხარდაჭერით გამოიხატება.**

დეოკუპაცია კარგია, მაგრამ დეოკუპაცია არ ნიშნავს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას. შეიძლება დეოკუპაცია მოხდეს, მაგრამ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი საქართველოს არ დაუბრუნდეს.

ნატოსკენ სწრაფვით ტერიტორიულ მთლიანობას ვერ აღვადგენთ. ნატოს საქართველოში თავისი ინტერესები აქვს — ქართველი ჯარისკაცების ავღანეთში ყოფნა. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ნატოს პრობლემა არ არის. ჩვენი გულისთვის დასავლეთი, ნატო რუსეთს არ წაეჩხუბებიან.

მოგვწონს თუ არ მოგვწონს, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა რუსეთზეა დამოკიდებული. ურუსეთოდ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა პრაქტიკულად შეუძლებელია, არის წყლის ნაყვა, ხალხის მოტყუება.

**ჩვენი ხედვით, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ძირითადი ფორმულებია:**

საქართველო უნდა გახდეს რუსეთის სტრატეგიული პარტნიორი, რაც არ ნიშნავს დასავლეთთან ურთიერთობის გაფუჭებას, პირიქით, დასავლეთთან ურთიერთობა უნდა გაღრმავდეს.

ჩვენი მეზობელი სომხეთი რუსეთის სტრატეგიული პარტნიორია, ამავე დროს შესანიშნავი ურთიერთობები აქვს დასავლეთთან, ნატოსთან და სხვებთან.

აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონების მთავრობები, მმართველობა ისეთივე დარჩეს, როგორიც არის, ოღონდ საქართველოს ფარგლებში, კონფედერაციის ან ფედერაციის სახით, რაც ახალ კონსტიტუციაში უნდა აისახოს. ლტოლვილები უპირობოდ უნდა დაბრუნდნენ.



გუდაუთასა და ცხინვალში რუსეთის ჯარი დარჩეს, რომლის კონტიგენტი და ფუნქცია მოლაპარაკებით დაზუსტდება. მთავარია, რუსეთმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა აღიაროს.

მოსაფიქრებელია გალისა და ცხინვალის რაიონებიდან, ან მის მახლობლად, თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნა, სადაც მოხდება ოსებისა და ქართველების, აფხაზებისა და ქართველების დაახლოება. აუცილებელია პარლამენტმა განიხილოს, შეაფასოს შევარდნაძის მიერ აფხაზეთში დაწყებული სამოქალაქო ომი და სააკაშვილის ცხინვალში შესვლა. მალე სააკაშვილი წავა. რუსეთ-საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიეთრობა აღდგება, დაიწყება მოლაპარაკებები, რომელთა მთავარი ვექტორი მიმართული უნდა იყოს საქართველოს ტერიტორული მთლიანობის აღდგენისაკენ.

**გივი მიქიაშვილი**

◉ დედაქალაქი

## საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე და 13 კომისიის თავმჯდომარე თანამდებობიდან გადაყენებულია

**თბილისის საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე მამუკა ახვლედიანი თანამდებობიდან გადააყენეს. საკრებულოს სხდომაზე, დღის წესრიგით 15 საკითხი დაამტკიცეს , რომელთა შორის იყო: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის და 13 მუდმივმოქმედი კომისიის თავმლდომარის გადაყენების საკითხი, ასევე თბილისის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოადგილის გიორგი ქველაძის თანამდებობიდან გადაყენების საკითხი.**

კენჭისყრის შედეგად, მამუკა ახვლედიანის გარდა თანამდებობიდან გადაყენებული არიან: საკრებულოს ეკონომიკური განვითარებისა და საინვესტიციო პოლიტიკის კომისიის თავმჯდომარე **ნიკოლოზ ბაჩილავა,** თბილისის საკრებულოს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე **თეიმურაზ გრიგალაშვილი,** ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **გიორგი ჩაჩანიძე,** საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე **თამაზ შოშიაშვილი,** საკრებულოს საქალაქო მეურნეობის კომისის თავმჯდომარე **ხვიჩა სანაია,** საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარე **იოსებ ეგუტია,** სახეებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე **ლაშა იმედაშვილი,** განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე **ვახტანგ ნაცვლიშვილი,** საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის თავმჯდომარე **გურამ კინწურაშვილი,** ადამიანის უფლებათა და საზოგადოებასთან ურთიერთობის კომისიის თავმჯდომარე **კახა გურული,** თბილისის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **დავით ჯინჭარაძე,** სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **გელა ომანიძე,** ურბანულ და ძველი თბილისის რეაბილიტაციის კომისიის თავმჯდომარე **დავით წერეთელი.**

რიგგარეშე სხდომაზე ახალი კანდიდატურების წარდგენისა და დამტკიცების საკითხი არ განხილულა.

26 ივლისამდე კომისიების თავმჯდომარეების კანდიდატურებზე კონსულტაციები გაგრძელდება. 26 ივლისს, საკრებულოს თავმჯდომარის ზაალ სამადაშვილის გადაყენების საკითხი დადგება.

**ვითარება**



# რატომ ეშინიათ ლუგარის ლაბორატორიისა?

**რუსეთის მთავარი სანიტრის გენადი ონიშჩენკოს ბრალდებებს, თითქოს, რუსეთის სამხრეთ რეგიონებში ღორის ჭირის გავრცელება საქართველოში არსებულ ე.წ. ლუგარის ლაბორატორიას უკავშირდებაო, საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელი რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში ზურაბ აბაშიძე უსაფუძვლოდ მიიჩნევს.**

აბაშიძის თქმით, აღნიშნული ლაბორატორია დაავადებებს, ინფექციებს იკვლევს, მონაცემთა უდიდესი ბაზა აქვს და ამ ლაბორატორიის მაღალი დონით კმაყოფილება არ დაუმალავთ არც რუს მეცნიერებს, რომლებიც უკანასკნელ თვეებში მასში ორჯერ იყვნენ.

ამის მიუხედავად, აბაშიძე კვლავაც იწვევს რუს მეცნიერებსა და ექსპერტებს ლუგარის ლაბორატორიაში, რათა ისინი გაეცნონ მასში მიმდინარე სამეცნიერო მუშაობას და, სურვილის შემთხვევაში, ჩაერთონ კიდეც ერთობლივ პროექტებში.

**თუ რუსებს ლუგარის ლაბორატორია აფრთხობთ, თავის დროზე აფხაზეთის ბუნებრივ მღვიმეში მოწყობილი ეშერის ლაბორატორიის მიმართაც არსებობდა ქართული მხარის უნდობლობა, სადაც მიწის ქვეშ რამდენიმე დონეა. მეორე დონემდე ჩასვლა მხოლოდ ერთეულ პირებს შეუძლიათ, ხოლო მესამე დონემდე ვისაც ჩაესვლება, ასეთი ხალხი იშვიათია და იქ მხოლოდ რუსი მეცნიერ-მუშაკები და სამხედროები მუშაობენ. ეჭვების მიუხედავად, ეშერის ლაბორატორიაში ქართველი მეცნიერები არასდროს შეუშვიათ. მეტიც, მაშინ ქართველი ექსპერტები ამბობდნენ, რომ ეშერის ლაბორატორიას გრიფი „საიდუმლო" ედო და იქიდან რუსეთი ნახევარ ევროპას, აფრიკას და ახლო აღმოსავლეთს აკონტროლებდა. „მწვანეთა პარტიის" თავმჯდომარე გია გაჩეჩილაძე კი 2002 წლის აპრილში მომხდარ თბილისის მიწისძვრას ხელოვნურად ინსპირირებულად და ქვემო ეშერაში განლაგებული რუსეთის საიდუმლო ლაბორატორიიდან წარმართულად მიიჩნევდა, რადგან ვერტიკალური მიწისძვრა სწორედ პროვოცირებული მიწისძვრებისთვისაა დამახასიათებელი. ამასთან, განმარტავდა, რომ რატომღაც ეს მიწისძვრები ხშირად დაძაბულ სიტუაციებს ემთხვეოდა. კერძოდ, სპიტაკის ვერტიკალური მიწისძვრა დაემთხვა აზერბაიჯან-სომხეთის ე. წ. ყარაბახის კონფლიქტს. 1991 წელს რაჭის მიწისძვრა კი დაემთხვა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას.**

რაც შეეხება 2011 წელს გახსნილ ამერიკელი სენატორის ლუგარის სახელობის ლაბორატორიას, ის ბიოუსაფრთხოების მესამე დონისთვის არის გათვალისწინებული. მასში 100 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია ჩაიდო, რათა უზრუნველყოფილ იყოს დაცვის ორმაგი და სამმაგი დონე. ამ ლაბორატორიების ქსელის ფუნქციაა ადამიანისა და ცხოველების ჯანმრთელობაზე ზრუნვა, რაც გულისხმობს სხვადასხვა მძიმე ინფექციების აღმოჩენას, დიაგნოსტიკას, პროფილაქტიკასა და მეცნიერულ კვლევას. ბიოუსაფრთხოების მესამე დონე კი ლაბორატორიისთვის ნიშნავს შემდეგს: ზოგიერთ საშიშ ინფექციაზე საჭიროა მუშაობა ბიოუსაფრთხოების მესამე დონის დაცვით და იქ მომუშავე პერსონალი უნდა იყოს უფრო უსაფრთხოდ, დაცვის მაღალი სტანდარტი გამოიყენეონ ისეთი ინფექციების კვლევისას, როგორიცაა ტულარემია, ჯილეხი, შავი ჭირი, გრიპის ზოგიერთი სახეობა.



გარდა ამისა, **ლუგარის ლაბორატორიას საქართველოში აქამდე არსებულ ლაბორატორიებისგან განასხვავებს გენეტიკური კვლევები. მათი უნიკალური დანადგარი ადამიანის გენუმს შლის 24 საათში, წინამორბედები კი ამას აკეთებდნენ 1 თვეში, 3 თვეში და ა.შ.**

რატომ აფრთხობთ რუსებს ე.წ. ლუგარის ლაბორატორია, ხომ არ არის ეს ხელოვნური შეშფოთება მათი მხრიდან და დათმობად ხომ არ აღიქმება ამ ლაბორატორიაში რუსი მეცნიერების შეშვება?!

ექსპერტი **ვახტანგ მაისაია,** რომელიც თავის დროზე ამერიკის საჰაერო ძალების აკადემიაში სწავლობდა და ეროვნული უსაფრთხოების კვლევის ინსტიტუტში სწორედ ბირთვული განიარაღების საკითხებში მონაწილეობდა, For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ, თუკი რუსი ექსპერტები ჩამოიყვნეს ლუგარის ლაბორატორიის შესამოწმებლად, ეს პირდაპირ უკავშირდება რუსეთ-ამერიკის უკიდურესად გამწვავებულ ურთიერთობას, რაც ცივი ომის პერიოდში არსებულ დაპირისპირებას ემსგავსება.

ექსპერტის განმარტებით, ამერიკასა და რუსეთს შორის არსებობს უთანხმოება ბირთვული განიარაღების საკითხთან დაკავშირებით. ამას ემატება ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების ირგვლივ არსებული პრობლემები, რომელიც განხეთქილების ვაშლია ამერიკასა და რუსეთს შორის, ასევე, სირიაში არსებული მდგომარეობა. ამდენად, თუ ლუგარის ლაბორატორიას მასობრივი განადგურების შეიარაღების კუთხით ჰიპოთეტურად შევხედავთ, შეიძლება, ვიღაცას ინსინუაციები გაუჩნდეს, თითქოს აქ მუშავდება ბაქტერიოლოგიური იარაღის კომპონენტები, რადგან შავი ჭირი და მისი მსგავსი დაავადებები ბაქტერიოლოგიური იარაღის კომპონენტია. ამის რეგულირება კი საერთაშორისო სამართლებრივ დონეზე ჯერჯერობით ვერ ხორციელდება, განსხვავებით, ქიმიურ, ბირთვულ შეიარაღებაზე დაწესებული რეგულაციებისგან.

**„მოგეხსენებათ, ასადის რეჟიმმა სირიაში გამოიყენა ქიმიური იარაღი აჯანყებულებისა და მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ და ამერიკელებს გაუჩნდათ ინსინუაციები, რომ რუსებმა, როგორც ჩანს, ასადის რეჟიმს ირანელების მეშვეობით გადასცეს ქიმიური იარაღი. ამიტომ, სავარაუდოდ, გაჩნდა ბაქტერიოლოგიური იარაღის საკითხებში უთანხმოება ამერიკელებსა და რუსებს შორის. თუმცა, ლუგარის ლაბორატორიაში ბაქტერიოლოგიური იარაღის შემცველი კომპონენტი რომც ყოფილიყო, ისეთნაირად იქნებოდა ის დაცული, რომ არ მოხდებოდა ამის წარმოჩენა და ტრანსპარანტული არ იქნებოდა ეს ობიექტი.**

**სინამდვილეში, ლუგარის ლაბორატორია როცა გახსნეს, მაშინვე ჩატარდა ღია კარის დღე და წარმოჩინდა მისი მშვიდობიანი საქმიანობა. პირიქით, აქ ხდება შავი ჭირის საწინააღმდეგო ვაქცინების დამუშავება და ამას უფრო ბიოსამედიცინო დატვირთვა აქვს",** — აცხადებს ვახტანგ მაისაია.

„მწვანეთა მოძრაობის" თანათავმჯდომარე **ნინო ჩხობაძე** აცხადებს, რომ აღნიშნულ ლაბორატორიაში ინახება მხოლოდ შტამები და სამხრეთ კავკასიაში მსგავსი ლაბორატორია არ არის. ამ ტიპის ლაბორატორიები ყოველთვის სერიოზული დაცვის ქვეშაა. თეორიული საშიშროება, რომ რაღაც შტამი ან ვირუსი გავრცელდება მოსახლეობაში, არსებობს. მეტიც, ასეთი შემთხვევები ისტორიაში ყოფილა და თუ არეულობა მოხდა ქვეყანაში, ან საფრთხე შეექმნა ამ ტიპის ლაბორატორიას, იგი სერიოზულ ყურადღებას საჭიროებს. ამიტომ, ნინო ჩხობაძე დასაშვებად მიიჩნევს რუსი მეცნიერების ჩამოსვლას, რათა ისინი დარწმუნდნენ, რამდენად არის დაცული თითოეული შტამი. ამავდროულად, იგი ეჭვს გამოთქვამს, ჩამოვლენ კი ისეთი მეცნიერები რუსეთიდან, რომელთაც ნამდვილად შეუძლიათ, შეაფასონ ლაბორატორიის უსაფრთხოება და არა ისეთი ექსპერტები, ვისაც შეხება არ ჰქონია ასეთი ტიპის ლაბორატორიასთან?

**„ლაბორატორია შტამების ბანკია და მეზობელმა ქვეყნებმა უნდა იცოდნენ, უსაფრთხოების თვალსაზრისით, რა დონის ლაბორატორია არსებობს საქართველოში. ქართული მხარეც მუდმივად ითხოვს იმის გარკვევას, რა ხდება სომხეთის ატომურ ელექტროსადგურზე. თუმცა, რუსეთი რატომ ხედავს ამაში საფრთხეს, ჩემთვის გაუგებარია, რადგან ასეთი დონის ლაბორატორიები ერთიანად მოქმედებს საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით",** — გვითხრა ნინო ჩხობაძემ.

თუ რამდენად უკავშირდება ღორის ჭირის გავრცელება ლუგარის ლაბორატორიას, ამას ნინო ჩხობაძე კატეგორიულად უარყოფს, რადგან ღორის ჭირი გავრცელდა დასავლეთ საქართველოში, ლაბორატორია კი აღმოსავლეთ საქართველოშია. მართალია, აღმოსავლეთ საქართველოშიც იყო ცალკეული შემთხვევები, მაგრამ ძალიან სწრაფად ჩაქრა და ეს რომ ყოფილიყო ვირუსული ან ბიოლოგიური იარაღის გამოყენება, ასე სწრაფად ვერ ჩაქრებოდა.

ექსპერტის თქმით, ეს მოხდა დაავადებული ღორის ხორცის რეგიონში შემოტანის გამო და ღორის ჭირის დაავადება ახალი არ ყოფილა საქართველოსთვის. მისი შტამები ბუნებაში ისედაც არსებობს. ამიტომ ნინო ჩხობაძე ვეტერინარიული სამსახურის ფუნქციის აღდგენას და, ცალკეულ შემთხვევაში, კარანტინის გამოცხადებას მოითხოვს.

მისი თქმით, **საქართველოში არსებობს ადგილები, სადაც იმარხებოდა დაავადებული ცხოველი და ყველა ასეთი ადგილი ითვლება სერიოზულ კერად დაავადების შემდგომი გავრცელებისთვის. ამიტომ ის კერები უნდა იყოს აღრიცხული, სადაც ცხოველი იმარხებოდა, რადგან ნამარხთან შეხების შემდეგ დაავადება შეიძლება გავრცელდეს წყლით, თუკი მოხდა გაჟონვა წყლის ან ბალახეულ საფარში. ამდენად, ლუგარის ლაბორატორიისთვის ყველაფრის დაბრალებას და, რუსების შიშს, რომ ჩვენ მათ რაღაცას მოვუწყობთ, ნინო ჩხობაძე აბსურდად მიიჩნევს.**

**მანანა ნოზაძე**

**ფეისბუქიდან**

● მაისაია რო გამოვიდა, ვერ გავიგე, ციხეში იჯდა თუ ბორმენტალის პროგრამაში, ისეთი გამხდარი იყო და მაშინ სორე სქან იდეურ-პოლიტიკური დონე ევროპარლამენტო?

● ჟორჟოლიანს რამდენს უხდიან ნაციონალები ბეიბისითერობაში? ყველა ჩასვრილ ნაცს რო უწმინდავს ტრამპს.

● მარგველაშვილი: „სააკაშვილს რაღა ვენდეტა უნდა, ზაფხულში კითხულობს სად არიან სტუდენტებიო?"

● ლისეკ — მალაშხია რო გახდა, სად იყავით მაშინ?! ჩალით არი დახურული ეს ქვეყანა, რაა.

● ვანოჯან, აფსუსი არ არი, შენ ციხეში გშიოდეს და მიშა ნანუკასთან ერთად ველუსაპეტით კატაობდეს? (რიგითი ჰავლაბრელის ფრაზა).

● ვანოს „იმედმა" „შაუშენკოდან გაქცევა" მიუძღვნა.

● „სააკაშვილს დავით აღმაშენებელი მშენებელი ჰგონია და აღმაშენებელი იმიტომ უწოდეს, რომ შენობებს აშენებდა."

● ვანოო, გაიგეე ვანოოო... ევროპარლამენტარებმა დარეკეს, აწონვის დროააა...

# ნერტილოვანი ფრაზები

● ჩემი აზრით, სააკაშვილს პოლიტიკაში დაბრუნების არანაირი შანსები არა აქვს..

● სააკაშვილს უნდა, რომ მისი მმართველობის წლები ვიკიპედიაში ოქროს ასოებით იყოს ჩაწერილი, როგორც ქვეყნის მშენებელისა. ჩემი აზრით, სააკაშვილი ისტორიაში შევა როგორც პამპერსის ხიდის, დაწვენილი დოქების გროტესკული და პაროდიული არქიტექტურის მშენებელი პაროდიული ფიგურა.

● „დილა" გორი 3:0 ოლბორგი ტავარიშ სტალინ ვ შოკე.

● როგორც კი კბილაშვილმა, ამერიკის ხმის კორესპონდენტთან განაცხადა, რომ ზურაბ ჟვანიას საქმე გაიხსნებაო, გამოძიებამ წინ წაიწიაო, ნაცების ზონდერებმა ინტერნეტში ზურაბ ჟვანიას წინააღმდეგ, მკვდრის წინააღმდეგ, ბინძური აქცია წამოიწყეს.ხომ ცხადი გახდა, რომ მიშა ანერვიულდა? რატომ გამოფინეს ეს ვიდეო დღეს? რატომ ნერვიულობს მიშა? ხომ თქვეს, გაზით გაიგუდაო? ვერაფერი ვეღარ გიშველით ვერც მიშას და ვერც სხვა მკვლელებს და მათ მომხრეებს. საქმე გაიხსნება და მერე დადეთ ვიდეოები ფეისბუქში. დააკვირდით, ვინ დადო და ვინ აპიარებს ამ სიბინძურეებს. მიშას და კარინას „პატრიოტები", ნაცების ახალგაზრდული, ბანაკებში გამოყვანილი ჯიშები და ნაცებისგან დაპურებული ტიპები.




ამოკრიბა
**გია გაბრიჭიძემ**



# ვეტერანები უკვე სრული დაზღვევით ისარგებლებენ

**ვეტერანები 15 ივლისიდან სრული დაზღვევით სარგებლობენ. პროგრამა ითვალისწინებს ამბულატორიაში ოჯახის ექიმის მომსახურების, ინსტრუმენტული და ლაბორატორიული კვლევების დაფინანსებას. ასევე დაფინანსდება გეგმიური ოპერაციების ფართო სპექტრი (წლიური ლიმიტი 15 ათასი ლარი. დაფინანსდება 70%-ით); ონკოლოგიური პაციენტების მკურნალობა (წლიური ლიმიტი 12 ათასი ლარი, დაფინანსდება 80%-ით). შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ვეტერანთა დეპარტამენტის უფროსი გელა დოლიძე for.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ არსებული სადაზღვევო პაკეტის პირობებში ვეტერანები შეძლებენ სრულყოფილ მკურნალობას.**

გელა დოლიძე: ეს არის ძალიან კარგი სადაზღვევო პაკეტი. ეს გახლავთ ჯანდაცვის მინისტრის დავით სერგეენკოს დამსახურება და დიდი ღვაწლი. დაზღვევა ძალაში შევიდა 15 ივლისიდან. დაზღვევის სისტემა ისეთივეა, როგორც საყოველთაო დაზღვევა, ანუ ხორციელდება უბნის ექიმის მეშვეობით. ბენეფიციარი პოლიკლინიკაში უნდა მივიდეს თავისი ექიმთან, იქიდან უნდა აიღოს მიმართვა და ამ მიმართვის საფუძველზე ნებისმიერ კლინიკაში შეუძლია ის მომსახურება, რაც სჭირდება. ამ დაზღვევით ვეტერანს შეუძლია, გაიკეთოს გულის ოპერაციაც, რომელიც საკმაოდ ძვირია.

**— ანუ ვეტერანები აწი მაინც შეძლებენ სრულყოფილ მკურნალობას, ვინაიდან, აქამდე, მათ საერთოდ არ ჰქონდათ დაზღვევა...**

— 1997 წელს, როდესაც ვეტერანთა დეპარტამენტი შეიქმნა, ვეტერანებს უფასოდ ეკუთვნოდათ მკუნალობა, თუმცა ის და ეს მკურნალობა ერთმანეთთან ვერ მივა. საერთოდ, მეორე სატკივარია ვეტერანთათვის ჰოსპიტალი, რომელიც სავალალო მდგომარეობაშია. არადა მისი რეაბილიტაცია აუცილებელია. ჩვენ ყველაფერში ვბაძავთ ამერიკელებს, იმაშიც კი, რაშიც მისაბაძი არაა, მაგრამ იმ საკითხებში, რაშიც მართლა მისაბაძნი არიან, არ ვბაძავთ — საუბარია ვეტერანთა ჰოსპიტალზე. ესეც მინდა აღვნიშნო, რომ თავდაცვის სამინისტროში შეიქმნა კომისია, რომელიც ფიქრობს იმაზე, როგორ უნდა მოხდეს ვეტერანთა ჰოსპიტალიზაცია.

**— რა მოდელზე შეჩერდება ყურადღება, ფრანგულზე თუ ამერიკულზე?**

— ფრანგული მოდელიც მნიშვნელოვანია, მაგრამ ამ შემთხვევაში ფრანგული და ამერიკული მოდელი დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისგან. სრულად იმ მოდელის განხორციელება აქ პრინციპულად შეუძლებელია, მაგრამ საბაზისო პირველი ნაბიჯები, რაც უნდა გადავდგათ, ამერიკაში, საფრანგეთშიც და ინგლისშიც ერთი და იგივეა.

**— როდიდან ამოქმედდება ვეტერანთა ჰოსპიტალი ?**

— ალბათ, მომავალი წლიდან.

**— ამისთვის თანხები გამოყოფილია?**

— ჯერ მომავალი წლის ბიუჯეტის ფორმირება არ დაწყებულა, ამიტომ ჩვენ დიდი იმედი გვაქვს, რომ მომავალი წლის ბიუჯეტში ეს იქნება გათვალისწინებული. წლევანდელ ბიუჯეტში რამის გამოყოფა პრინციპულად შეუძლებელია. საარჩევნო კამპანია გახსნილად არის გამოცხადებული, არჩევნების მსვლელობისას საქართველოს კანონმდებლობით არ შეიძლება ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა. ვეტერანთა ჰოსპიტალსა და სამხედრო ჰოსპიტალს შორის სხვაობა არის ამერიკაშიც. მაგალითად სამხედრო ჰოსპიტალში ხდება ვეტერანთა მკურნალობა, მაგრამ ვეტერანთა ჰოსპიტალი ორიენტირებულია გრძელვადიან მკურნალობაზე. სამხედრო ჰოსპიტალი მომართულია იმისაკენ, რომ ჯარისკაცს მოკლევადიანი მკურნალობა ჩაუტარდეს და გაიწეროს. ეს არის თავდაცვის მინისტრის ინიციატივა, რომელიც ძალიან ეხმარება ვეტერანებს.

**— კონკრეტულად რაში ეხმარება?**

— დავიწყოთ იქიდან, რომ საკითხი ვეტერანთა ჰოსპიტლის შესახებ თავდაცვის მინისტრმა დასვა. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ არანაირი გადაწყვეტილება მიღებული არაა, ეს უკვე დიდი საქმეა. არის გარკვეული ჯგუფი, რომელიც ამაზე მუშაობს. მეორე — ვეტერანთა დეპარტამენტში არის დასაქმების პროგრმა და დასაქმება, ძირითადად, ხდება თავდაცვის სამინისტროში.

**— არის პრეცედენტი იმისა, რომ ვეტერანთა დეპარტამენტის შუამდგომლობის საფუძველზე დაინიშნა ვეტერანი თავდაცვის სამინისტროში?**

— რა თქმა უნდა, აქ ლაპარაკი არაა მაღალ თანამდებობაზე, სხვადასხვა კვალიფიციურ და არაკვალიფიციურ სამსახურებში ხდება ვეტერანთა დანიშვნები. ბოლო 2 თვის განმავლობაში რამდენიმე ათეული ვეტერანი დასაქმდა. რაც მთავარია, ვეტერანთა დასაქმებისა და ჯანდაცვის პროგრამა მიმართულია იმისკენ, რომ ვეტერანებს დავუბრუნოთ ღირსება, ის ღირსება, რომელიც წინა ხელისუფლებამ წაართვა და შეულახა. მაგრამ, როგორც ყველა კეთილი საქმე, ისე ეს საქმეც სწრაფად არ კეთდება, ასევე, არის პრობლემებიც და ამ პრობლემებს ვერ გავექცევით. ვეტერანებთან შეხვედრაზე ირაკლი ალასანიამ ისაუბრა შეღავათების აღდგენაზე...

ვეტერანების დასაქმება, ჯანდაცვის პროგრამის ასეთი ფორმით ამუშავება, ეს არაა შეღავათები? ამასთან, იმ ვეტერანებისთვის, რომლებიც მართლა უსახლკარონი არიან (ასეთი ორი კატეგორიაა — ვინც გაფორმდა როგორც უსახლკარო — შვილზე ან ძმაზე გააფორმა ბინა და ახლა ამბობს, ბინა მინდა, უსახლკარო ვარო, და ვინც მართლა უსახლკაროა), თავდაცვის სამინისტროს ხელშეწყობით ვეტერანთა დეპარტამენტში მუშავდება გარკვეული პროექტი. ამ საკითხზე დეტალურად ვერ ვისაუბრებ, ვინაიდან ეს პროექტი დამუშავების სტადიაშია.

**— უსახლკარო ვეტერანი ბევრია?**

— შრომისუნარიანი არის დაახლოებით 40 ათასი ადამიანი. მათ შორის მხოლოდ 13 ათასი არის დასაქმებული. დაახლოებით 13 ათასი ვეტერანი არის უკიდურესი სიღარიბის ზღვარს მიღმა. გარდა ამისა, 25 ათასმა ვეტერანმა განაცხადი შეიტანა უმწეობაზე. თავდაცვის სამინისტრო ზრუნავს ვეტერანებზე, მაგრამ ეს არის მეორადი ზრუნვა, ვინაიდან თავდაცვის ძირითადი ამოცანებია ქვეყნის უსაფრთხოება. თავდაცვის სამინისტროს პირველადი ამოცანა არაა ვეტერანები და არც შეიძლება იყოს. ამისთვის სწორედ უნდა იყოს ცალკე სტრუქტურა ვეტერანთა სამსახური, რომელიც იზრუნებს ამ პრობლემებზე, რომელსაც ექნება საკუთარი დაფინანსება.

**— ირაკლი ალასანიამ განაცხადა, რომ ეს დეპარტამენტი ცალკე უნდა ჩამოყალიბდეს და, რომ გადაწყვეტილება მიღებულია...**

— ბატონმა ირაკლიმ კი თქვა სექტემბერში მოხდებაო, მაგრამ როგორც ჩანს, გამორჩა, რომ საბიუჯეტო ცვლილება სექტემბერში შეუძლებელია.

**— თქვენ ძალიან ხშირად საუბრობდით და ახლაც აღნიშნეთ, ვეტერანებს უნდა დავუბრუნოთ ღირსებაო. ასე მწვავედ დგას ეს საკითხი?**

— ღირსებას ადამიანს ვერავინ წაართმევს, აქ სიტუაცია სხვანაირად არის. ეს არის ის სოციუმი, რომელიც წინა ხელისუფლების მხრიდან გარიყული, და მთლიანად ვეტერანთა საზოგადოება კი (განსაკუთრებით აფხაზეთის ომის ვეტერანები) მარგინალიზებული იყო. არც 2008 წლის ომის ვეტერანებს არ წყალობდნენ, მაგრამ 2008 წლის ომის ვეტერანების ძირითადი მასა მაინც თავდაცვისა და შსს-ში იყო დასაქმებული. ძალიან მცირე ნაწილმა დაკარგა სამსახური.

აფხაზეთის ომი არ იყო 5-დღიანი ომი, წელიწადზე მეტი გრძელდებოდა და ამ პერიოდში, ეს ვეტერანები რამდენიმე თვე მძიმე მდგომარეობაში იყვნენ, ყოველდღე სიკვდილს ელოდებოდნენ. ეს ძალიან მძიმე ფსიქოლოგიური პრობლემაა. ამის გარდა, მათ ყოველ ფეხის ნაბიჯზე ეძახდნენ ყაჩაღს, ქურდს და, რომ გაურკვეველ ომში იბრძოდნენ, ათასი ეპითეტებით ამკობდნენ და ა.შ. დეპარტამენტის მაშინდელი შემადგენლობა საბჭოთა მენტალობით მოქმედებდა, დღეს სხვა მიდგომაა, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებს პატივს არ ვცემთ. ჩვენთვის პირველი საზრუნავი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი ვეტერანებია. არა აქვს მნიშვნელობა ეს სააკაშვილის დროინდელია თუ — შევარდნაძის. ვეტერანი ვეტერანია.

**— თუმცა, არის დღევანდელ ხელისუფლებაშიც კატეგორია ადამიანებისა, რომლებიც თვლიან, რომ ვეტერანების პრობლემა მეორეხარისხოვანია სახელმწიფოსთვის...**

— ცხადია, ასეთები ყოველთვის იქნებიან და ჩვენს საქმიანობაში ბევრი ხელის შეშლა იქნება. მე არ მინდა ვინმეს ხელი დავადო, რომ ეს კარგი კაცია და ის ცუდი, მაგრამ დანამდვილებით შემიძლია ერთი რამის თქმა, რომ ამ ხელისუფლებაში არიან ადამიანები ვისაც გული შესატკივა ვეტერანებზე და ესენი არიან ძალიან გავლენიანი და მნიშვნელოვანი ადამიანები. ასეთი ადამიანები წინა ხელისუფლებაში უბრალოდ არ იყვნენ. უკანასკნელი 9 წლის განავლობაში არ გაკეთებულა იმდენი, რაც გაკეთდა უკანასკნელი 9 თვის განმავლობაში და ეს ფაქტია. ამის არ დანახვა არ შეიძლება.

ვეტერანთა საკითხებზე არც ერთი გრანტი არ იყო გაცემული საქართველოში. ახლა პირველი გრანტი NDI-იმ გასცა „გენერალთა კლუბზე“, რომ სოციოლოგიური გამოკითხვა ჩატარდეს ვეტერანთა შორის. ვთანამშრომლობთ ყველა არასამთავრობო ორგანიზაციასთან და მათ შორის „გენერალთა კლუბთან“. „გენერალთა კლუბი“ ჩვენც გაგვიზიარებს გამოკითხვის შედეგებს. ესენი არიან მართლა გულწრფელი ადამიანები, რომლებიც იდეური მოსაზრებებით აკეთებენ ამ ყველაფერს.

**— ძირითადად რა პრობლემებით მოგმართავენ ვეტერანები?**

— მომართვიანობის 95% იყო ჯანდაცვა. ძირითადი პრობლემა, რაზეც ჩვენ მოგვამრთავენ, არის იმ დავადებების დაფინასება, რომელიც ამ დაზღვევაში არ შედის. ცხადია, რომ მთელს სპექტრს ეს დაზღვევა ვერ მოიცავს. ამ დროს ვეტერანებისთვის კი სპეციფიკური არის ქრონიკული დაავადებები, რომელსაც დაზღვევა არ მოიცავს.

**— როდის გავა ვეტერანთა დეპარტამენტი გაერთიანებული შტაბის დაქვემდებარებიდან?**

— 1 იანვრიდან ჩვენ უკვე ცალკე სტრუქტურა ვიქნებით. ვაკეთებთ სამწლიან სამოქმედო გეგმას. სერიოზულად ვაპირებთ ფრთების გაშლას, რათა მთლიანად მოვიცვათ ვეტერანთა პრობლემები და ამაში დაგვეხმარება „გენერალთა კლუბის“ გამოკითხვა. მათ კიდევ ერთხელ მინდა მადლობა ვუთხრა იმისათვის, რომ ასეთ კარგ საქმეს აკეთებენ..

**თამთა ქარჩავა**

ალიან-ჩალიანი

## ბაჩო ახალაია ირაკლი ალასანიას კორუფციაში ადანაშაულებს

**თავდაცვის ყოფილი მინისტრი, პატიმრობაში მყოფი ბაჩო ახალაია მოქმედ თავდაცვის მინისტრს ირაკლი ალასანიას კორუფციაში ადანაშაულებს. როგორც ახალაიას „ფეისბუქის“ ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ მიმართვაშია აღნიშნული, ირაკლი ალასანია „დღეს საქართველოს ისტორიის მანძილზე ყველაზე სამარცხვინო თავდაცვის მინისტრი“.**

**— ირაკლი ალასანია არის ადამიანი, რომელიც საჯაროდ აპროტესტებს იმ ფაქტს, რომ ჩემი მინისტრობის პერიოდში 30-მდე გამორჩეულმა სამხედრო მოსამსახურემ, ადამიანებმა, რომლებიც იცავდნენ ქვეყანას და არ ჰქონდათ საკუთარი საცხოვრებელი, მიიღეს ბინები საჩუქრად. მადლიერების ნიშნად და ნიშნად იმისა, რომ არც ერთი სამხედრო მოსამსახურე არ დარჩებოდა ყურადღების და პატივისცემის გარეშე ქვეყნის, ხალხის და მთავრობის მხრიდან. მე გული იმაზე მწყდება, რომ მინისტრობის პერიოდში ვერ შევძელი და უფრო მეტ სამხედრო მოსამსახურეს ვერ აუშენეთ ბინები. ნებისმიერი ნორმალური მინისტრი, უბრალოდ წესიერი ადამიანი, სწორედ ამაში უნდა ეჯიბრებოდეს მის წინამორბედს და უნდა ზრუნავდეს სამხედრო მოსამსახურეების პირობების გაუმჯობესებაზე. ამის ნაცვლად, ირაკლი ალასანიამ შეაჩერა პრეზიდენტის ბრძანებულების აღსრულება და ბინების გადაცემა სამხედრო მოსამსახურეებისთვის, სწორედ ამიტომ ორი ჯარისკაცი, რომლებმაც ავღანეთში დაკარგეს ქვედა კიდურები და მათთვის გადაწყვეტილი იყო ბინების გადაცემა, დღემდე უიმედოდ ელოდებიან დახმარებას, — აცხადებს მიმართვაში ბაჩო ახალაია.**

**„— ალასანიამ ააწყო კორუფციაზე დაფუძნებული სისტემა, ტენდერებში გაამარჯვებინა მის საახლობლოს კანონის უხეში დარღვევებით, სწორედ ამიტომ ცხრა თვის მანძილზე რამდენჯერმე მოიწამლა ასობით ჯარისკაცი გაფუჭებული საკვების მიღებით და ამ დროს იგი იმ დონეზეც კი გათავხედდა, რომ 2008 წლის გმირებს აქილიკებს და ამადლის სახელმწიფოსგან საჩუქრად გადაცემულ ბინებს. მოვა დრო ირაკლი ალასანია სათითაოდ აგებს პასუხს მის მიერ ჩადენილი ყველა დანაშაულისათვის ქართული ჯარის მიმართ, — აღნიშნავს მიმართვაში ახალაია.**

**ინტერპრესი**

№136. შაბათი, 20 ივლისი, 2013 წელი.

# უსამართლო სამართალი



**წინა ხელისუფლების პირობებში მმართველმა გუნდმა სასამართლო და მოსამართლე პროკურატურის დანამატად აქცია. ამის გამო პროკურატურის ყველა მოთხოვნა უყოყმანოდ სრულდებოდა. გამოტანილ განაჩენებში მხოლოდ 2-3 პროცენტი თუ იყო გამამართლებელი (სტალინის პერიოდშიც კი ეს მაჩვენებელი 10-15 პროცენტს შორის მერყეობდა). გამამართლებელი განაჩენის შემთხვევაში პროკურატურის წინააღმდეგ წასულთა მიმართ იწყებოდა სამართლებრივი დევნა. მუქარა, დაშინება, ყოველდღიური ცხოვრების წესად იქცა. მოსამართლის სტატუსი იმდენად დააკნინეს, რომ მას ნოტარიუსის უფლებებიც კი ჩამოართვეს. ცხადია, რომ საბრალდებო სკამზე მოხვედრილთა უმეტესობა ვერ შეეგუებოდა უსამართლობას და აივსო ევროსასამართლოები საქართველოდან წასული საჩივრებით.**

## ევროკავშირში შესვლა – მიღწევებით თუ გაგზავნილი საჩივრებით?

**სტრასბურგიდან ცოტა ხნის წინათ დაბრუნებულმა იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა შოკის მომგვრელი ინფორმაცია ჩამოიტანა – ევროსასამართლოში უკვე განხილვის სტადიაშია 700 დასაბუთებული და ამდენივე დაუსაბუთებელი საქმე.** მაშინ, როდესაც სასამართლოში საფრანგეთს აქვს მხოლოდ 60 დასაბუთებული საქმე. წულუკიანს ამ რაოდენობის საქმეების არსებობა ჩვენი ქვეყნისთვის კატასტროფულად მიაჩნია. იგი ამბობს, რომ ევროსასამართლოების განტვირთვის მიზნით დაიწყოს მოლაპარაკებები მოსარჩელეებთან მორიგების თაობაზე. ამ საქმეებზე (700) ადრე თუ გვიან ევროსასამართლო მიიღებს მომჩივანის სასარგებლო გადაწყვეტილებებს, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მილიონობით ევრო (ეკვივალენტი ლარებში) გვექნება გადასახდელი, ამბობენ ექსპერტები და იქვე აღნიშნავენ, რომ ევროსასამართლოების გადაწყვეტილებები მისი მიღებიდან სახელმწიფომ 3 თვეში უნდა დაფაროს: იუსტიციის მინისტრს აუცილებლად მიაჩნია ქვეყანაში კულტურად დამკვიდრდეს – ადამიანის უფლებები გვარდებოდეს ქვეყნის შიგნით და მის მოქალაქეებს არ უწევდეთ საკუთარი სიმართლის ქვეყნის გარეთ მტკიცება.

წულუკიანი ამბობს, რომ უკვე მოლაპარაკებების შედეგად მორიგებულია რამდენიმე საქმე, თუმცა, მათზე ოფიციალური ხელმოწერები არ არის, მაგრამ ხელისუფლება გეგმავს, რომ მალე ეს თანხები სრულად დაიფარება. მინისტრი მორიგების სტრატეგიაზეც საუბრობს – დავინტერესდებით ყველა იმ საქმით, რომლებიც მორიგებისათვის პრიორიტეტულნი არიან. სტრასბურგში შეტანილი სარჩელის მქონე პიროვნება, თუ იუსტიციის სამინისტროს მიმართავს და საქმის შესწავლის შედეგად გამოიკვეთება მორიგების შესაძლებლობა, საქმე აუცილებლად მივა ორმხრივ შეთანხმებამდე.

2010 წლიდან სტრასბურგის ადამიანთა უფლებების სასამართლომ ქართული სასამართლოს 145 საქმე ცნო არადამაკმაყოფილებელ განაჩენად და სახელმწიფოს სერიოზული თანხების გადახდა დააკისრა. მარტო საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ კერძო პირების სახელით 4 სასამართლო მოუგო საქართველოს სტრასბურგში. „ნაცების“ გადასახდელი სრულად დაფარა ახალმა ხელისუფლებამ. იუსტიციის სამინისტრო ჯერჯერობით ვერ აკონკრეტებს რაოდენობას თანხისა, რომელიც უნდა გადაუხადონ დაზარალებულებს, სამაგიეროდ, გაავრცელეს ინფორმაცია, რომ მორიგება გაფორმდა ციხეებსა და კოლონიებში „ცე“ ჰეპატიტით დაავადებულთა სტრასბურგში შეტანილ სარჩელზე, მორიგებულია, „ავიატორების საქმე“, „დასხივებულთა საქმე“ და სხვა. ეს უკანასკნელი კარგად ასახავს წინა ხელისუფლების უსულგულო დამოკიდებულებას საკუთარი მოსახლეობისადმი, ამომრჩევლისადმი და „შეურიგებელ“ პოზიციას რუსეთისადმი.

1997 წელს ლილოს სამხედრო ნაწილში რადიაციული კერები აღმოჩნდა, რის შედეგადაც 11 ქართველმა ჯარისკაცმა რადიაციული დამწვრობა მიიღო. ძიების შედეგად აღმოჩნდა ნაწილის ტერიტორიაზე მიმობნეული რუსი ჯარისკაცების დატოვებული რადიაქტიული ცეზიუმის 16 კაფსულა. შევარდნაძის ხელისუფლებამ 7 ჯარისკაცი სამკურნალოდ გერმანიაში, 4 კი საფრანგეთში გააგზავნა. მათ საქართველოს სახელმწიფოს ხარჯებით რამდენიმე უმძიმესი ოპერაციები ჩაუტარდათ, სამშობლოში დაბრუნებულთ მთავრობამ მიზერული ანაზღაურება დაუნიშნა. დაზარალებულებმა სტრასბურგს მიმართეს და პროცესიც მოიგეს. ხელისუფლებას მათ სასარგებლოდ 4 მლნ ლარზე მეტი უნდა გადაეხადა. მთავრობამ მხოლოდ მესამედის გადახდა მოახერხა. **ხელისუფლებაში „ნაცების“ მოსვლისთანავე პირველი, რაც გააკეთეს, ის იყო, რომ 11 დასხივებულ ჯარისკაცს შეიარაღებული ძალების ვეტერანის სტატუსი და, შესაბამისად, ყველანაირი შეღავათი მოუხსნეს. დაზარალებულებმა კვლავ სტრასბურგს მიაშურეს და „ეკლიანების“ 4 სამინისტროს პროცესი მოუგეს.** კომპენსაციის სახით მათთვის თანხაც უნდა მიეცათ, მაგრამ „ნაცმოძმები“ მუდამ ბიუჯეტის სიმწირეს იმიზეზებდნენ. თუმცა, ეს პრობლემა არ დგებოდა ცნობილი ტაშ-ფანდურებისა და ღრეობა-გართობების დროს.

**სპეციალისტები იმაზეც ამახვილებენ ყურადღებას, რომ წინა ორ ხელისუფლებას თავის დროზე ევროპული სასამართლოსთვის რომ მიემართა, დღეს ამ ბიჭებისთვის კომპენსაციების გაცემა აუცილებლად დავალებული ექნებოდა რუსეთს, როგორც სამხედრო ბაზის ყოფილ მფლობელს. ამას გარდა, დაემატებოდა სხვა სახის სავალდებულო ჯარიმებიც (ეკოლოგია, გარემოს დაცვა, მორალური ზიანი და ა. შ.). თუ შევარდნაძის მთავრობამ ვერ მოაბა თავი (შეიძლება ვერც გარისკა) ამ საკითხის მოგვარებას, პარლამენტში ძალით შეჭრილი ნაციონალების რუსეთისადმი უშეღავათო და შეუვალი პოზიციის მქონე ხელისუფლებას ხომ ხელეწიფებოდა ეს. საერთაშორისო მხარდაჭერაც ექნებოდა, – ამტკიცებენ ექსპერტები.**

რაც შეეხება მორიგებებს. თუ ევროსასამართლოში სარჩელის შემტან პირთა ამგვარი შეთანხება ვერ მოხერხდა, მომჩივანი მაინცადამაინც ითხოვს საკითხის სტრასბურგში, ჰააგაში გადაწყვეტას, ხელისუფლება დაადგება ცალმხრივი დეკლარაციების გზას, – აცხადებს მინისტრი წულუკიანი.

მაგრამ გაურკვეველი რჩება საკითხი იმ მოსამართლეებისა, რომელთა გამამტყუნებელი განაჩენებზე ევროპულმა სასამართლოებმა უარყოფითი დასკვნები გააკეთეს და საქართველოს დაზარალებულთა მიმართ მრავალმილიონიანი ჯარიმების გადახდა უწევს. ბევრის საქმის გამოძიება ჯერაც არ დაწყებულა და თუ მორიგებები ვერ შედგა, თანხები ასტრონომიულად გაიზრდება. **განაჩენების გამომტანნი კი კვლავ მოსამართლეთა მანტიას არიან ამოფარებული და სააკაშვილი-კუბლაშვილის მფარველობის ქვეშ თავს დაცულად გრძნობენ.** ალბათ, ამის გამოა, რომ ნაცების ჯერ კიდევ ხელისუფლებაში მყოფი ტანდემი შემართულად იბრძვის სასამართლოს, მოსამართლეების „ხელშეუხებლობისა“ და „დამოუკიდებლობისთვის“.

## სასამართლოები ნდობას ნელ-ნელა იბრუნებენ

**იუსტიციის სამინისტროსა და მთლიანად ხელისუფლების ძალისხმევამ შესამჩნევი შედეგები უკვე მოიტანა. როგორც რამდენიმე დღის წინათ ევროკავშირისა და ევროსაბჭოს ერთობლივი პროექტის – „ადამიანის უფლებები ციხეებსა და დახურული ტიპის სხვა დაწესებულებებში“ პრეზენტაციის დროს გაცხადდა, ქართველი პატიმრების სტრასბურგში გაგზავნილი საჩივრების რაოდენობა თითქმის მინიმუმამდეა დასული, ევროკავშირისა და ევროსაბჭოს წარმომადგენელთა განცხადებებს სრულიად იზიარებს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (საია-ს) წარმომადგენელი ნათია კაციტაძე.** იგი აღნიშნავს, რომ საჩივრებმა იკლო არა მხოლოდ სტრასბურგში, არამედ მათ ორგანიზაციაშიც, ამჯერად პატიმრები ძირითადად უჩივიან ჯანდაცვის სისტემის არაეფექტურობას. არის პრეტენზიები ამნისტიასთან დაკავშირებით, – ამბობს საიას წარმომადგენელი და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ტანჯვა-წამების, ადამიანთა უფლებების დარღვევებსა და არაადამიანურ მოპყრობაზე განცხადებები თითქმის აღარ შემოდის. მაგრამ უამრავია წინა წლებში ჩვენს მიერ ჩამოთვლილ ქმედებებზე შემოსული ძველი და მიმდინარე სარჩელები, მათგან ბევრი, ალბათ, სტრასბურგში გავა, თუ არ მოხდა სახელმწიფო მორიგება, ვარაუდობენ არასამთავრობოები.

ის რომ, სტრასბურგში წამებისა და ა. შ. საქმეები აუცილებლად გასაჩივრდება, ეჭვი არ ეპარება უფლებადამცველ ლია მუხაშავრიას. იგი ვერ აკონკრეტებს საქართველოს რამდენი საქმე წავა ევროსასამართლოში, მაგრამ ამბობს, რომ მათ ხელთ არსებული 6 საქმე მომზადებულია სტრასბურგისთვის, რადგანაც ეს წამების საქმეებია.

## მნიშვნელოვანი იქნება მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის შემადგენლობა

**მოქმედი კანონმდებლობით სადისციპლინო კოლეგია 5 წევრისგან შედგება. მათ (3 – წევრს) ირჩევს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია, რომელმაც ეს უკვე გააკეთა 16 ივნისს, ისინი მოსამართლეები არიან.** კიდევ 2 წევრი არამოსამართლე უნდა იყოს და ის პარლამენტმა უბრალო უმრავლესობით უნდა დაამტკიცოს (იმედია ვეტომანიით შეპყრობილი პრეზიდენტი უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ამ გადაწყვეტილებასაც ვეტოს არ დაადებს).

წლების განმავლობაში მოსამართლეთა დევნის შესახებ ინფორმაცია კონფიდენციალური იყო. მაგრამ, როდესაც ხალხის უკმაყოფილებამ პიკს მიაღწია და ევროსასამართლოები აივსო საქართველოდან წასული საჩივრებით, ნაცების ჯიბის პარლამენტმა 2012 წლის მარტში მოსახლეობის თვალის ასახვევად გარკვეული ცვლილებები შეიტანა მოსამართლეთა მიმართ დისციპლინარული სამართალწარმოების რეგულირების თვალსაზრისით. ამას მოჰყვა სრული კონფიდენციალურობიდან ნაკლებზე უმნიშვნელოდ გადასვლა. მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილ-კუბლაშვილი ცდილობდნენ ევროპისათვის თავიანთი რეფორმები „დემოკრატიის შუქურად“ წარმოეჩინათ, მაინც ვერ შეელივნენ „ჯიბის სასამართლოსა“ და მოსამართლეებს და ბოლო ცვლილებამდე განხორციელებული დისციპლინარული სამართალწარმოების შინაარსობრივი ნაწილი გასაჯაროებას არ დაექვემდებარა და ხელმისაწვდომი არ გამხდარა. ამრიგად, არასამთავრობოების ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნა დისციპლინარული დევნა და მისი სამართალწარმოება კვლავ დატოვეს „ნაცებმა“ ჩაკეტილ თემად.

სპეციალისტთა, იურისტთა, ადამიანის უფლებების დამცველთა პოზიცია უცვლელია – მართლმსაჯულების რეფორმების გზაზე უმნიშვნელოვანესია მოსამართლეთა დისციპლინარული პასუხისმგებლობის საკითხი, ვინაიდან ის მჭიდროდ არის დაკავშირებული, ერთის მხრივ, მოსამართლის დამოუკიდებლობასთან, მეორეს მხრივ, საზოგადოების ნდობასთან სასამართლო ხელისუფლების მიმართ.

სწორედ ამის გამო ძალიან მნიშვნელოვნია, თუ როგორ დაკომპლექტდება დისციპლინური კოლეგია, – აცხადებს პარლამენტარი უმრავლესობიდან ზურაბ აბაშიძე, იგი თვლის, რომ ამ ორგანომ უნდა მოახდინოს სასამართლოს ფაქტობრივი რევიზია და იქნება აღმასრულებელი ფუნქციის მატარებელი. მისი გადაწყვეტილებების მიღება უნდა ხდებოდეს მაქსიმალურად გამჭვირვალედ და კვალიფიციურად, მიაჩნია დეპუტატს.

## ნაციონალების „გონივრული ეჭვი“ აღარ იარსებებს

**რამდენიმე წლის წინათ სააკაშვილის გამოცხადებულ „ნულოვან ტოლერანტობას“ კვალდაკვალ მიჰყვა პოლიციელთა უფლებების არნახული გაზრდა. გაჩნდა აბსტრაქტული ცნება – „გონივრული ეჭვი“, რომელიც შსს-ს თანამშრომელს ნებისმიერი მოქალაქის გაჩერებისა და შემოწმების უფლებას აძლევდა.** მაგრამ, ყოველივე ისე აბურდულად იყო კანონმდებლობაში განმარტებული, რომ ექსპერტთა დასკვნით პოლიციელმა არ იცოდა, თუ რისთვის, რა კონკრეტულ საფუძველზე უნდა გაეჩერებინა პირი. შს მინისტრის მოადგილე ლევან იზორია ამბობს, რომ დღეს მოქმედი „კანონი პოლიციის შესახებ“ საბჭოთა დროინდელის გადმონაშთია. მასში არავითარი არსებითი ცვლილება არ არის შეტანილი ისეთი, რაც ქართულ პოლიციას ევროპულ სტანდარტებთან დააახლოებდა. მისივე თქმით, **სამინისტრომ პარლამენტში შეიტანა კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც სამართალდამცავების ფუნქცია უნდა იყოს არა რეპრესიები, არამედ დანაშაულის პრევენცია.**

პირველი თვალშისაცემი ცვლილებაა, რომ „გონივრული ეჭვის“ საფუძველზე აბსურდული მიზეზით დაკავება-შემოწმება შეიცვლება „გამოკითხვით“, რისი მიზანიც იქნება პიროვნების ვინაობის დადგენა. ეს პროცედურა ჩატარდება მაშინაც, თუ პირს აქვს ძებნილად ან დაკარგულად გამოცხადებულის იდენტური გარეგნული მახასიათებლები. **მოკლედ, ორგანოს თანამშრომელს ეცოდინება, თუ რისთვის აჩერებს ადამიანს და ექნება ამის საფუძველი.**

შსს-ს წარმოდგენილ დოკუმენტში იდება პოლიციის დეპოლიტიზების მიზანიც – პოლიტიკური ნეიტრალობის დაცვის პრინციპი. შსს-ს მუშაკს აღარ ექნება უფლება თავისი სამსახურებრივი მდგომარეობა რომელიმე პოლიტიკური სუბიექტის პარტიული ინტერესებისთვის გამოიყენოს.

მოკლედ შსს-ში დიდი ცვლილებებია მოსალოდნელი. მით მალე განიხილავენ საკომიტეტო მოსმენებზე. საერთო განწყობით თუ ვიმსჯელებთ, როგორც უმრავლესობა, ასევე უმცირესობა დადებითად აფასებენ კანონპროექტს და მისთვის კანონის სახით მიცემის დროს საკანონმდებლო ორგანოში პრობლემა არ უნდა შეიქმნას.

**ექსპერტებსა და ანალიტიკოსებს ერთი რამ ადარდებთ: რამდენად შეძლებს მუდამ ერთპიროვნული წნეხის ქვეშ (განსაკუთრებით ბოლო 9 წლის მანძილზე) მყოფი პოლიცია პარტიული და სახელისუფლებო სტრუქტურების მიმართ პოლიტიკური ნეიტრალიტეტის დაკავებას.**

**ზაზა ბილიხოძე**



ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №204

# ჩუბჩიკას უკანასკნელი საჩუქარი





ეს წიგნი, რომელსაც არც სარჩევი აქვს, არც გამოკვეთილი კომპოზიციური ქარგა, და არც კონკრეტული დროის და ყოფიერების ჩარჩოშია მოქცეული, მთელი სამყაროა, რასაკვირველია, მათთვის, ვისაც ხელოვნების ფორმადქცეულ სამყაროში ცხოვრების სურვილი და უნარი გააჩნია. აქვე ნახავთ გალაკტიონის, აპოლინერის, პუშკინის, პეტრარკას, სერვანტესის, ლეონარდო და ვინჩის და სხვათა ხელნაწერებს, ძველ მინიატურათა და ფრესკათა ასლების ფრაგმენტებს, თანამედროვეთა ფოტოებს, სხვადასხვა ეპოქის მხატვართა ცალკეულ ნამუშევრებს, ჩანახატებს... .. ანუ ყველაფერ იმას, რაც შეიძლება მთელი ცხოვრების მანძილზე იგრძნო, შეიყვარო და მოგინდეს სხვებმაც იგრძნონ... შენი სამყარო და გარემო ბოლომდე მაინც მხოლოდ შენია, შენივე შექმნილი და რაღაც მაინც გაუმხელელი დაგრჩება, რაც არ უნდა გულუხვად უზიარებდე თუნდაც, ყველა ახლობელ ადამიანებს...

ეს წიგნი **თენგიზ მირზაშვილის, ჩუბჩიუკას** უკანასკნელი საჩუქარია ჩვენთვის (კრებული სიკვდილის შემდეგ გამოიცა).. მისი გამუდმებული, დაძაბული მცდელობაა. ესთეტიკის, აზროვნების, ხედვის, გემოვნებას ნიუანსების სხვებისთვის გაზიარებისა. ამ წიგნის მკითხველს აუცილებლად თვალწინ წარმოუდგება „ჩუბჩიკა“, მუდამ რაღაცით აღტაცებული, ფიროსმანის ნახატის რეპროდუქციით თუ ბარათაშვილის ავტოგრაფით ხელში... აზუსტებდა მეცნიერთა მიერ უკვე „დაზუსტებულ“ ტექსტებს გადაათარიღებდა ფაქტებს, ეძებდა საფუძვლის საფუძვლებს და თუ ინტერესს შეგატყობდათ, კიდევ ათ იმდენ ინფორმაციას მოგაწვდიდათ...

ის არ თამაშობდა მიუწვდომელი ელიტარული მხატვრის და მოაზროვნის როლს. პირიქით, გარეგნული იერით თუ საუბარში კუთხური ფრაზების ჩართვით, თითქოს საპირისპიროს ცდილობდა, სინამდვილეში კი **ჩუბჩიკა** ყოველთვის ნამდვილი ელიტა იყო და მისი აზრები თუ შეხედულებები ყველა წრეში გასათვალისწინებელი გახლდათ.

* * *

ერთხელ ისე, უბრალოდ მითხრა: „დედაჩემზე რამე დამიწერეო... (ამ კრებულისთვის). ქალბატონ **სოფიო ლემბერგს (მირზაშვილს)** ჩემი ძალიან ახლო, ხანდაზმული ნათესავის – **თამარ შარაშიძის** სამეგობრო წრიდან ვიცნობდი. თემა, რომელიც ქალბატონმა სოფიომ გამიზიარა, გახლდათ ფრესკების და მინიატურების ასლების შექმნის პროცესი ჩანაფიქრიდან – განხორციელებამდე... ეს იყო იგივე ისტორიისა და ხელოვნების გაკვეთილები, რისთვისაც დღემდე უსაზღვროდ მადლობელი ვარ მისი...

ცხადია, სიამოვნებით შევასრულე ბატონი თენგიზის დავალება. (მახსენდება თენგიზ მირზაშვილის სრულიად კატეგორიული მოთხოვნა: „ბატონობით“ და „თქვენობით“ არ მომმართოთო, რაც მახსოვს, ცოტა არ იყოს, მიძნელდებოდა და ვერაფრით გადავლახე).

* * *

კრებულში შესულია მოგონებები თენგიზ მირზაშვილის პიროვნულ ხიბლზე, განუმეორებლობაზე, იმ კვალზე, რომელიც სამუდამოდ დარჩება ქართული კულტურის და საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორია... და რაც დრო გადის, ეს უფრო და უფრო იგრძნობა...

შესავალ წერილში „ერთადერთი წიგნის“ კონცეფციას განმარტავს კულტუროლოგი **ზაზა შათირიშვილი:**

***„მალარმე**, 1885 წლის ვერლენისადმი მიწერილ წერილში ერთადერთ წიგნზე ოცნებობს – წიგნზე, რომელიც „ერთადერთია“, რაც სინამდვილეში არსებობს და თითოეული ადამიანი, რომელიც წერს, სწორედ ამ წიგნის დაწერაზე ფიქრობს ისე, რომ თვითონაც არ იცის ამის შესახებ.*

*ამ წერილის დაწერიდან, დაახლოებით 20 წლის შემდეგ, ველიმირ ხლებნიკოვმა შექმნა ლექსი, რომელშიც ასეთი სტრიქონებია:*

*Чтобы ускорить приход Книги единой,*

*Чьи страницы - большие моря...*

1927 წლის კრებულში გალაკტიონი ახსენებს წიგნს, რომელიც მთელ სამყაროს მოიცავს და რომელშიც ჩატეულია კაცობრიობის მეხსიერება. ეს წიგნი „ვეფხისტყაოსანია“. მოგვიანებით კი თავად გალაკტიონი იწყებს ერთადერთი, უნიკალური და აბსოლუტური მშვიდობის წიგნის წერას, რომელშიც მთელი ქართული (და არა ოდენ ქართული) ლიტერატურა უნდა მოთავსდეს. მაგრამ სინამდვილეში, ჩვენთვის ასეთ ერთადერთ და განუმეორებელ წიგნდ თვითონ გალაკტიონი იქცა.

თენგიზ მირზაშვილის ეს წიგნიც იმ ერთადერთი და აბსოლუტური წიგნის ვარიაციას წარმოადგენს, რომელსაც მალარმე, ხლებნიკოვი, გალაკტიონი (და კიდევ ბევრნი) ესწრაფვოდნენ.

*თენგიზ მირზაშვილის წიგნში არის ყველაფერი ის, რაც მას უყვარს, რითაც ცოცხლობს და რის გარეშეც საკუთარი თავი ვერ წარმოუდგენია. ეს წიგნი არა ოდენ მხატვრის მრავალფეროვან და მრავალგვარ სტილთა ენციკლოპედიაა, არამედ მოიცავს მწერალთა ავტოგრაფებს, პოეტების ტექსტებს, მეცნიერთა თუ ლიტერატორთა სტატიებს, მხატვართა სურათებს...*

*და ეს ყველაფერი ნახატები, ხელნაწერები, ტექსტები, ყოველივე ის, რაც არის და ყოველივე ის, რაც ვერ მოხვდა ამ წიგნში არა მხოლოდ მთელი სამყაროა, არა მხოლოდ ერთადერთი და განუმეორებელი წიგნის ვარიაციაა, არა ოდენ ამ ერთადერთ წიგნთან მიახლოებაა, არამედ ესაა თვითონ მხატვარ (და არა მხოლოდ მხატვარ) თენგიზ მირზაშვილის პორტრეტი, სადაც ადამიანის სახის განუმეორებელ ნაკვეთებს ქმნიან ქართლის ცხოვრება და ვაზარი, მოცარტი და ბახი, პუშკინი და ვაჟაფშაველა, ნინოწმინდა და წილკანი, ბოსხი და კრანახი, ჰერკულანუმი და პომპეა, ვეფხისტყაოსანი და ხომალდთა კატალოგი, ჩვენ, ყველანი ვისაც გვიყვარს თენგიზ მირზაშვილი დაბოლოს, ის ერთადერთი და განუმეორებელი წიგნი, რომელზეც თითოეული ჩვენგანი ოცნებობს ისე, რომ თვითონაც კი არ იცის ამის შესახებ“.*

* * *

ისტორიის ლაბირინთებშია მოქცეული თენგიზ მირზაშვილის შორეული წინაპრის დიდი ლიახვის ხეობის სადროშოს მეთაურის **გიორგი მირზაშვილის** სახელი... ბრძოლაში გმირული სიკვდილის მერე, როცა ის საძმო სამარეს მიაბარეს, მეფე ერეკლეს უბრძანებია: გიორგი მირზაშვილის ცხედარი თავისივე სოფელში წაასვენეთ და დაკრძალეთ, საყდარი ააშენეთ, ეს გმირი უკვდავყოფის ღირსიაო...

„მეფის ბრძანებისებრ – წერს ვახტანგ სიდამონიძე – გიორგი მირზაშვილი სოფელ შინდისში დაკრძალეს, ზედ ეკლესია ააშენეს და მხედრის უკვდავსაყოფად წარწერაც გააკეთეს“.

*მოგვიანებით მარი ბროსე ამოიკითხავს ამ წარწერას: „ეს ეკლესია წმინდა გიორგისა ჩვენ მირზაშვილმან აღვაშენეთ ღვთისა თანა-შემწეობითა. ძმა ჩემი, უხუცესის სახელით, გიორგი იწოდებოდა და მეფეს ერეკლეს წინ, ერევანს, წყეულ აზატ-ხანის ომში მიიცვალა. თვით აქ მოვიღე და ეკლესია მა-ზედ აღვაშენე, ვინც იხილვიდეთ, შენდობას მას უბრძანებდეთ, ჩვენცა ცოდვილთ გვახსენებდეთ, რათა უფალმა თქვენც შენდობა მოგცეთ“... (1751 წ.).*

* * *

გთავაზობთ ფრაგმენტებს ამ მართლაც უნიკალური კრებულიდან:

**ვახუშტი კოტეტიშვილი:** „გარემომცველ სამყაროსთან ამგვარი მიმართება არ ისწავლება აკადემიებსა და უნივერსიტეტებში, მზერის ასეთი უნარი, სიყვარულის ნიჭი და განცდის უშუალობა დაბადებიდან თან უნდა დაგყვეს. ამიტომაც არის რომ ის, რაც თავისი ხიბლით გვაოცებს ხალხურ შემოქმედებაში, პიროვნულ ხელოვნებაში იშვიათად გვხვდება ხოლმე. ასეთი გამონაკლისია, მაგალითად, ნიკო ფიროსმანაშვილი. მაგრამ უფრო იშვიათია, რომ ეს უნარი შეინარჩუნოს ადამიანმა, რომელსაც მიუღია ე. წ. აკადემიური განათლება, გასცნობია კულტურისა და ცივილიზაციის უძველესსა და უახლესს მიღწევებს, მოუვლია სახელგანთქმული მუზეუმები, დაუფლებია ოსტატობის ათასგვარ ხერხსა თუ მეთოდს და ზიარებია ყოველივეს, რასაც ზოგადსაკაცობრიო ხელოვნება ჰქვია.

თენგიზ მირზაშვილს, როგორც მხატვარს, აქვს საოცარი უნარი, დაგიხატოთ სიმყუდროვის სურნელი, ფერით გადმოგცეთ იდუმალი მდუმარება. მისი მრგვალი ხეები არ შრიალებენ: მთებიც „დგანან და ელიან“. მის პეიზაჟებს თავიანთი სუნთქვა აქვთ, სულ სხვა ატმოსფერო, სხვა სინამდვილე. ისინი არავის ჰგვანან, მხოლოდ თავის თავს. მხოლოდ მირზაშვილის მთებსა აქვთ ასეთი ნაოჭები, ასეთი ნისლი, ასეთი სიგლუვე, მხოლოდ მისი გლეხები დგანან ასე, ანდა მიდიან ყოველთვის ზემოთ, მთაში.



გიორგი მირზაშვილი, ფოტოსერიიდან „ქალაქი“, 2004

თენგიზ მირზაშვილი პროფესიული უნივერსალიზმით მე მაგონებს აღორძინების ხანის ხელოვანთ, ლეონარდოსა თუ გურამიშვილს, მაგრამ მაინც ისევ და ისევ ნიკო ფიროსმანს, სამყაროსავით ფართოდ გახელილი თვალებითა და, რაც მთავარია, გულით, რატომღაც მგონია, რომ ცხონებული ნიკალაც ჩუზჩიკასავით „დაფუსფუსებდა“ ძველი თბილისის ქუჩებში და თავის შინაგან ხილვებს სასოებით დაატარებდა გაქექილი ხურჯინით“...

**რეზო გაბრიაძე:** „რა არის ადამიანი, თუ არა მოგონებანი და მათ მიმართ მადლიერება. თენგიზ მირზაშვილის ჩუმი, ძნელად გასაგონი, უფრო თავისთვის, ხუმრობით,უაქცენტოდ სირცხვილიანი მადლობა, ყველაზე ნამდვილი გამოხატვაა მადლიერების. ხანდახან იფიქრებ, ხომ არ არის თენგიზ მირზაშვილის შემოქმედება ერთი განუწყვეტელი მადლობა იმ გამოუცნობის მიმართ, რასაც ადამიანის სიცოცხლე ჰქვია. ამიტომაც ასე ლაღად, ასე ნაზად ვუერთდებით ალბათ ჩვენ მას, როდესაც მის შემოქმედებას ვეზიარებით – შესანიშნავი ოსტატობით შესრულებულ რთულ ფერწერას ან ბავშვების წიგნის ბოლოში იაპონური სრულყოფით შესრულებულ ორი ხაზით და ერთი წერტილით დახატულ სასწაულს – ჩიტს, მესკიელას, ვინმეს, უპატრონოს, გათახსირებულს, გზის პირას რომ მტვერში ბანაობს უსირცხვილოდ, საჯაროდ, ყველას დასანახად...

როგორ ლამაზდება ჩვენი ცხოვრება, როდესაც ვხედავთ ნამდვილ ხელოვნებას, ასე უხვად და უანგაროდ რომ აჩვენა საქართველოს თენგიზ მირზაშვილმა.“

**ზურაბ ნიჟარაძე:** „რომანტიული ბუნება, რომანტიული სულისკვეთება არა რეალობაში, ყოველდღიურობაში, არამედ დისტანციაშია, რომელიც მიჯნავს, გამოყოფს ერთმანეთისგან რეალურ სამყაროს ოცნების და ფანტაზიის სამყაროსგან.

მწუხარე სახის რაინდთან მეტნაკლებად მიახლოებულია ყველა, ვისთვისაც უცხოა ყოველგვარი კონფორმიზმი, რუტინა, მომხმარებლობა და ტუყილი. ბრძოლა ქარის წისქვილებთან უხდება ყველას, ვინც ერთგულია სულიერი სილამაზის, მშვენიერების...

ფიროსმანის პიროვნებას და შემოქმედებას განსაკუთრებული ადგილი უკავია თენგიზის სულიერ სამყაროში. აქ, გარდა სიყვარულისა და აღტაცებისა ფიროსმანით, არის სიახლოვე თვით შემოქმედებაში, ესთეტიკაში, გამომსახველობაში, იმაში, რომ უცხოა ორივესთვის ყოველგვარი ძიებანი, ეგრეთ წოდებული ფორმალისტური გატაცებანი, რომლებიც მეტნაკლებად თითქმის ყველა მხატვრის შემოქმედებაში შეიმჩნევა. უშუალობა, გულწრფელობა, მორცხვალებული და უპრეტენზიო გამომსახველობითი ხერხები, ამაღლებული სულისკვეთება – აი, მოკლედ ის, რისგანაც იქმნება თენგიზის მხატვრული სამყარო, მისი შემოქმედება“.




* * *

**ჩვენი ეპოქის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილ მეტაფორას ჰერმან ჰესსეს „თამაში ყალბი მარგალიტებით“, დროთა განმავლობაში მრავალი ინტერპრეტაცია მოეძებნა... და ალბათ არა სიახლის ტონალობით, არამედ მიზეზ-შედეგობრიობის კვალიფიკაციით აღიქმება ესეის მოცემული ზურაბ პიპინაძის წერილის სათაურიც „თამაში ნადდი მარგალიტებით“.**

**ნინო ხოფერია**

# ხათუნა ჭიჭინაძის რელიკვიები

**ხათუნა ჭიჭინაძე:** მე დავიწყე საქმე, რასაც, ვფიქრობ, მთელ ჩემს მომავალ ცხოვრებას მივუძღვნი: ეს არის წარსულში დაბრუნება, ჩემი გენის წიაღში წვდომა, რაც მას აწყმოსთან და მომავალთან აერთიანებს.

შარშან, 2012 წელს, დაფუძნდა ჭიჭინაძეთა საგვარეულო კავშირი და მერგო დიდი პატივი, – ამირჩიეს გვარის წინამძღოლად. ეს უპირველესად პასუხისმგებლობაა, მისიაა... დავიწყე გენიალოგიის შესწავლა, მოვიძიე ისტორიული წყაროები, ამჟამად ვამზადებ საგვარეულო წიგნის პუბლიკაციას.

ჩემთვის ძალიან ძვირფასია ეს მასალა, თითოეული ფოტო, თითოეული დოკუმენტი...

წარსულში დაბრუნება აუხსნელი საიდუმლოს მატარებელია, ძნელია ამ ყოველივეს სიტყვებით გადმოცემა.

აი, ვათვალიერებ ჭიჭინაძეთა საოჯახო ფოტოებს... თითოეული პერსონა ცალკე ბიოგრაფიაა, რასაც ახლავს პირადი ცხოვრების ნიუანსები, საოცარი ეპიზოდები, დრამატიული კოლოზიები...

ბევრი რამ გადმოცემით ვიცი, ზოგიც წყაროებში მოვიძიე, უზარმაზარია ჭიჭინაძეთა ღვაწლი ქართული საზოგადების განვითარების ისტორიაში.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო სამი პიროვნება, ვისი სახელობის ქუჩებიცაა თბილისში: ცნობილი ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე **ზაქარია ჭიჭინაძე, ბესარიონ ჭიჭინაძე** – გამოჩენილი ინჟინერი, ზაჰესის მშენებელი, **გივი ჭიჭინაძე** – პოპულარული საბავშვო მწერალი...

იმედია, მალე დავასრულებ ამ წიგნს და გამოვცემ... ეს იქნება ჩემი მადლიერების გამოხატულების ფორმა მთელი საგვარეულოს წინაშე.

საპატრიარქოს ტელევიზიის **„ერთსულოვნება“** ეთერში მესამე წელია გადის გადაცემათა ციკლი **„ქართული ალბომი“** (ქართული ოჯახების მატიანე). იქ მე მივედი და ვთხოვე ჭიჭინაძეთა ფოტომასალებიც ეჩვენებინათ ეკრანზე. მე და ქალბატონმა **ნანა ყურულაშვილმა** კომენტარები გავუკეთეთ ჩვენთვის ძვირფას ამ რელიკვიებს.

შეიძლება იმდენად ვერ გამოვხატე რისი თქმაც მსურდა, რადგან წარსულში დაბრუნების მცდელობამ და ემოციებმა, ცოტა არ იყოს, დამაბნია...

ეს გადაცემა საპატრიარქოს ტელევიზიის ეთერში გავა დღეს, შაბათს, 19:30 წუთზე და ხვალ, კვირას, 11 სთ. 30 წუთზე. შენდობას ვითხოვ, თუკი ჩემს მონოლოგში ყველა და ყველაფერი სათანადოდ ვერ მოვიხსენიე. ქრონომეტრაჟი 20 წუთი მქონდა... თუმცა, ცხადია, რომ ყველაზე ძნელია მოკლედ და მკაფიოდ გამოხატო მთავარი სათქმელი... მაინც, ვფიქრობ, არსებითი ის გახლავთ, რომ ეს რელიკვიები ჩემი ცხოვრების ნაწილად იქცა და ერთი მნიშვნელოვანი გამოცდილებაც შევიძინე: წარსულში, ფესვებთან დაბრუნებით, ადამიანი მეტ სიმყარეს იძენს აწმყოშიც და მომავალშიც...



საჩხერელი ჭიჭინაძეების სახლში წერეთლებს ხშირად მასპინძლობდნენ. სურათზე ამ ორი გვარის შეხვედრაა აღბეჭდილი.



ზაქარია ჭიჭინაძე, ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე, ისტორიკოსი.



მის საპატივცემულოდ დამარქვეს „ხათუნა“. ხათუნა სიმონის ასული ჭიჭინაძე, მსახიობი, აკაკი ხორავასთან ერთად. 1938 წელს, სამეულის მიერ გამოტანილი განაჩენით, დახვრეტილია.



ჩემი ბაბუის ძმა, იურისტი, საზოგადო მოღვაწე კალისტრატე ჭიჭინაძე, მისი მეუღლე საშა გაგაშვილი და დედა – ქეთო წერეთელი.

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# სააკაშვილი: თვითანალიზის ხელოვნება

**საქართველოს პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობისთვის მისი იმიჯი უცხო იყო**

**საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობაზე თავისი უკანასკნელი ვადის გასვლის შემდეგ მიხეილ სააკაშვილი აპირებს „აქტიურად" მიიღოს მონაწილეობა საქართველოს პოლიტიკაში. ამის შესახებ სააკაშვილმა განაცხადა ქართულ ტელეარხ „რუსთავი-2"-თან თავის საათნახევრიან ინტერვიუში, რომელიც 17 ივლისს გადაიცა.**

„საქართველო ძალიან პატარა ქვეყანაა და მასში ყოველთვის მოხდება ერთი და იგივე ნაცნობი სახეების ცვლები. როგორც ჩანს, არავინ არსად გაქრება და ყველა ეს პირი ერთიმეორის ცვლილებებით იქნებიან მმართველობასა და პოლიტიკაში", — განაცხადა პრეზიდენტმა, როდესაც უპასუხებდა შეკითხვას მის პირად გეგმათა შესახებ. სააკაშვილმა განაცხადა იმის შესახებ, რომ პრეზიდენტის არჩევნების შემდეგ, რომელიც ოქტომბრის ბოლოს გაიმართება, მას განზრახული აქვს, შექმნას პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, აგრეთვე პრეზიდენტის პოლიტიკური ცენტრი თავის საგარაკო სახლში — სოფელ ქინძმარაულში აღმოსავლეთ საქართველოში.

მიხეილ სააკაშვილმა აღიარა, რომ პრეზიდენტის თანამდებობა აიძულებს მას, შეიკავოს თავი ამჟამინდელი მთავრობის კრიტიკისაგან და რომ თავისი ვადის გასვლის შემდეგ მას მიეცემა საშუალება, „უფრო თავისუფლად გამოთქვას თავისი აზრი".

## „ერთი ვარ ხალხისგან"

**საქართველოს პრეზიდენტმა ასევე აღნიშნა, რომ ქვეყანაში უმრავლესობისთვის მისი იმიჯი უცხო იყო, რაც უბრალოებასა და არაფორმალურ ქცევაში გამოიხატებოდა.**

„საზოგადოებრიობის დიდ ნაწილს სურს არა ისეთი კაცი, რომელიც დადის ველოსიპედით, როგორც მე, არამედ მამა-ბაბუა, რომელიც სადღაც მაღალ მთაზე ზის, რომელიც იყურება ქვევით და იძლევა იქიდან დარიგებებს... მეგობარი და პარტნიორი კი არ სურთ... სურთ მამა-ბაბუა, როგორც შევარდნაძე და ასლან აბაშიძე", — განაცხადა სააკაშვილმა.

„ მე ყოველივე ამაზე უარი ვთქვი, და უმალვე გიჟად გამომაცხადეს, შეხედეთო, ეს გიჟი ველოსიპედზე ზისო. მაგრამ ამის გამო მე ცხოვრების წესს არ შევცვლი. მე მართლაც არა მაქვს პრეტენზიები, ვიყო ვინმეს მამა ან ბაბუა, მე არა ვარ კარგი მამა ჩემი შვილებისთვისაც კი, მით უმეტეს, როგორ შემიძლია ვიყო ერის მამა? აქ საკითხი შეეხება იმას, რომ მე ერთი თქვენგანი ვარ, ერთი ვარ ხალხისგან, რასაკვირველია, მაქვს მეტი პასუხისმგებლობა, მაგრამ თუ რაიმეს მივაღწევთ, მივაღწევთ ამას ერთად", — განმარტა პრეზიდენტმა.

## „როგორ შეიძლებოდა ეს მოგვსვლოდა?"

**როდესაც საქართველოში პირადი პოპულარობის დაკარგვის მთავარ მიზეზზე საუბრობდა, სააკაშვილმა შენიშნა, რომ ხალხმა „ცვლილებები მოინდომა". „ასე ხდება ნებისმიერ ქვეყანაში, როდესაც რამდენიმე წლის განმავლობაში ქვეყნის ხელმძღვანელობაში ერთი და იგივე პირია... ეს ჩვეულებრივი საქმეა, — განაცხადა პრეზიდენტმა. ამავე დროს სააკაშვილმა აღნიშნა, რომ მისი გუნდის წარმომადგენლები უფრო გულღიები უნდა ყოფილიყვნენ.**

პრეზიდენტის სიტყვებით როდესაც კეთდება „ძალიან ბევრი კარგი რამ", შეუძლებელია თავი აარიდო შეცდომებს. „როდესაც ურემი გადაბრუნდება, გზა უკეთ მოსჩანს... უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენ დავინახეთ ისეთი შეცდომებიც, რომლებსაც თქვენ ვერც კი მიხვდებით. ჩვენ გავიგეთ, და თმები ყალყზე დაგვიდგა. როგორ შეიძლებოდა ეს მოგვსლოდა?", — შენიშნა საქართველოს ლიდერმა.

თუმცა, როდესაც უფრო კონკრეტულ პრობლემებზე საუბრობდა, სააკაშვილმა „მთავარ შეცდომად" დაასახელა ის, რომ მისი მთავრობის დროს არასაკმარისი სახსრები დაიხარჯა ახალგაზრდობის განათლებისათვის, მათ შორის სტიპენდიებზე უცხოეთში სწავლისათვის.

## „ქოხი სოფელში"

**„რუსთავი-2"-თან საუბარში სააკაშვილმა გამოთქვა რწმენა, საქართველო „აუცილებლად აღიდგენს თავის ტერიტორიულ მთლიანობას, და რომ იგი შემდეგ საგარაკო სახლს აიშენებს აფხაზეთში. პრეზიდენტის სიტყვებით, მისი წინაპრები დედის ხაზით ეშერიდან არიან, აფხაზეთიდან. სწორედ იქ, „სიმწვანეში" აპირებს სააკაშვილი აიშენოს ხის ქოხი.**

„რუსეთი ნებისმიერ შემთხვევაში წავა აფხაზეთიდან, ეს აუცილებლად მოხდება... სხვა საქმეა, ვიქნებით თუ არა ჩვენ შესაბამის ფორმაში, რომ იქ შევიდეთ. იყო ფორმაში — ეს ნიშნავს იყო განვითარებული და ძლიერი სახელმწიფო", — განმარტა პრეზიდენტმა.

## „ბიძინა ივანიშვილის შესახებ"

მიხეილ სააკაშვილი ასევე შეეხო თავის ურთიერთობას საქართველოს ამჟამინდელ პრემიერთან ბიძინა ივანიშვილთან იმ პერიოდში, სანამ ივანიშვილი ჩაერთვებოდა პოლიტიკაში. პრეზიდენტის სიტყვებით, ივანიშვილს ჰქონდა ურთიერთობა მის მთავრობასთან მხოლოდ იმ მიზეზის გამო, რომ მტრობდა მეორე ოლიგარქს, ბადრი პატარკაციშვილს, რომელიც ასევე ჩაერთო პოლიტიკაში, თუმცა მალე გარდაიცვალა გულის შეტევით თავის სახლში ინგლისში.

„ივანიშვილს თავის მთავარ საფრთხედ აწ გარდაცვლილი ბიზნესმენი ბადრი პატარკაციშვილი მიაჩნდა, და ყოველთვის ფიქრობდა, რომ იგი მას მოკლავდა ან რაიმეს გაუკეთებდა.

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, პატარკაციშვილსაც ეჯავრებოდა იგი... როდესაც 2008 წლის დასაწყისში პატარკაციშვილი გარდაიცვალა, ივანიშვილმა ყოველგვარი ურთიერთობა გაწყვიტა ჩვენთან", — განაცხადა სააკაშვილმა.

პრეზიდენტმა აგრეთვე აღნიშნა, რომ სანამ ივანიშვილი პრემიერი გახდებოდა, ისინი ოთხჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და რომ იგი არასოდეს მიიჩნევდა ივანიშვილს თავის მეგობრად, ვინაიდან ისინი „მეტად სხვადასხვანაირი" ადამიანები არიან.

## „მთავარი მიღწევა"

**თავის მთავარ მიღწევად პრეზიდენტის პოსტზე სააკაშვილმა დაასახელა ის, რომ მისი გუნდის წევრებმა უკანასკნელი 9 წლის განმავლობაში, რუსეთის ემბარგოს, ომისა და საშინაო დაპირისპირების პირობებში, მაინც შეძლეს, დაენგრიათ მოსახლეობის „ფეოდალური მენტალიტეტი" და შეეცვალათ იგი „სახელმწიფო აზროვნებით".**

შეგახსენებთ, რომ 27 ოქტომბერს საქართველოში პრეზიდენტის არჩევნები გაიმართება. ვინ გახდება პრეზიდენტობის კანდიდატი მიხეილ სააკაშვილის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან" ჯერჯერობით უცნობია.

თავად სააკაშვილი მომავალ არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებს, ვინაიდან საქართველოს კონსტიტუციით მესამე ვადით არჩევა გათვალისწინებული არაა. ელოდებიან, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" დაასახელებს თავის კანდიდატს ივლისის ბოლოს პრაიმერიზის შედეგების შესაბამისად. წინასწარი მონაცემებით, ეს იქნება პარლამენტის ექსსპიკერი დავით ბაქრაძე.

მმართველმა კოალიცია „ქართულმა ოცნებამ" პრეზიდენტობის კანდიდატად დაასახელა ამჟამინდელი კაბინეტის ვიცე-პრემიერი გიორგი მარგველაშვილი საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის თანახმად, მმართველი პოლიტიკური — ძალის კანდიდატს არჩევის ყველაზე მეტი შანსი აქვს.

Voice of America

# დედამიწის ზურგზე




## სნოუდენის „გამცემლობის" შემდეგ პენტაგონი ცვლის საიდუმლო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის რეჟიმს

**კერძოდ, შემოდის მნიშვნელოვანი დოკუმენტების შენახვის წესები მხოლოდ ნაწილებად რამდენიმე კომპიუტერულ სერვერში. ამ დროს 60-ზე მეტი კომპანია ამერიკის შეერთებულ შტატებში დაჟინებით მოითხოვს ხელისუფლებისაგან, მეტი გამჭვირვალეობა მიანიჭონ ამ დოკუმენტებს სპეცსამსახურების მოთხოვნებისთვის.**

## სენატორებმა აშშ-ში გააკრიტიკეს ნავალნის განაჩენი: „რუსეთი აგრძელებს შემობრუნებას სსრ კავშირის ბნელი დროისკენ"

**„კორუფციასთან ბრძოლის საბაბით რუსი აქტივისტის გასამართლება — არა მხოლოდ სრული ფარსია, არამედ ღრმად ტრაგიკული შემთხვევაც, განსაკუთრებით რუსეთისთვის", განაცხადა, კერძოდ, ჯონ მაკკეინმა. რუსეთის ხელისუფლება თავად ვერ მალავს საქმის პოლიტიკურ ხასიათს, მიაჩნია მის კოლეგა კრის მერფის.**



## „ლუკოილის" ტოპ-მენეჯერი ბელგრადში მკვდარი ნახეს

**კომპანია „ლუკოილ სერბიას" გენერალური დირექტორის მოადგილის ოლეგ შაროვის უსიცოცხლო სხეული ნახეს მის ბინაში, სადაც იგი ცხოვრობდა მეუღლესთან ერთად. ძალადობრივი სიკვდილის ნიშნები გარდაცვლილის სხეულზე ვერ აღმოაჩინეს, მაგრამ იგი გადაიტანეს სასამართლო მედიცინის ინსტიტუტში.**

## ბაიდენი აშშ-ის პრეზიდენტად კენჭს იყრის 2016 წელს

**რასაკვირველია, „მე შემიძლია მოვკვდე ბედნიერი, რომ ვერასოდეს გავხდი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი", იხუმრა ამჟამინდელი ადმინისტრაციის ვიცე-პრეზიდენტმა. მისი გადაწყვეტილება — წავიდეს არჩევნებზე — დამოკიდებული ბევრ ფაქტორზე იქნება. ერთ-ერთი მათგანია არჩევნებზე ჰილარი კლინტონის მიერ უარის თქმა.**



## სპეციალისტთა აზრი

# „თეთრი საყელოებით“ ჩადენილი დანაშაული

**„მსოფლიოში რეკომენდებულია, რომ „თეთრი საყელოს“ დანაშაულისას დაპატიმრება არ იყოს გამოყენებული“, — აცხადებენ ახალი ხელისუფლების წარმომადგენლები და მიიჩნევენ, რომ ასეთი ტიპის დანაშაულის დროს მაქსიმალურად ფრთხილად უნდა ვიყოთ, თავი ავარიდოთ დაკავებას და უნდა გამოვყოთ კრიტერიუმები, თუ რა შემთხვევაშია დაკავება აუცილებელი.**

**„თეთრი საყელოს“ მიღმა იგულისხმება არა ძალადობრივი, არამედ ინტელექტუალური შესაძლებლობებით ჩადენილი სამოხელეო დანაშაული, ასევე, საფინანსო-ეკონომიკურ სფეროში ჩადენილი დანაშაულები, რომელიც მითვისებას, გაფლანგვას და უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციას, ფიზიკური ძალის გამოუყენებლობას გულისხმობს, როდესაც ადამიანს შეუძლია, კაბინეტში სუფთად ჩაიდინოს დანაშაული.**

**უკვე ცნობილია, რომ ამ ინიციატივას მხარდაჭერას უცხადებს აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტი. თუმცა „თეთრი საყელოს“ დანაშაულთან მიმართებით საზოგადოებაში არაერთგვაროვანი პოზიციაა. ჩნდება კითხვები, ეს ინიციატივა ხომ არ გახდება იმის წახალისება, რომ მომავალში სხვა ჩინოვნიკებმაც დანაშაული ჩაიდინონ იმ იმედით, რომ „თეთრ საყელოიანებს“ მაინც არავინ დააპატიმრებს?! ხომ არ ეწინააღმდეგება ეს კანონს ჩინოვნიკთა პასუხისგებლობის შესახებ, რომელთაც საზოგადოების სხვა წევრებისგან განსხვავებით გაცილებით მეტი მოვალეობა აკისრიათ?! დაბოლოს, ყველაზე მთავარი, რატომ ვართმევთ ე.წ. „თეთრი საყელოს“ დანაშაულის ჩამდენ ჩინოვნიკებს დანაშაულის მონანიების საშუალებას, რასაც, როგორც წესი, საქართველოში მანამდე არ განიცდიან, სანამ გისოსებს მიღმა არ აღმოჩნდებიან?!**

**ამის შესახებ For.ge ექსპერტების აზრით დაინტერესდა.**

ექსპერტი **კახა კახიშვილი** ფიქრობს, რომ მსოფლიო პრაქტიკის გადმოღება არასწორია, რადგან უცხოეთში ე.წ. „თეთრი საყელოთი“ ჩადენილი დანაშაულის შემთხვევები ერთეულია და ისეთი კოლოსალური არ არის, როგორიც ჩვენს ქვეყანაში, სადაც მძიმე დანაშაულზე ადეკვატური რეაგირებაა საჭირო. ჩვენთან კი ჯერჯერობით არ არის ის ფონი, რომ ჩინოვნიკებმა იცოდნენ კანონის პატივისცემა. დემოკრატიული ქვეყნებისგან განსხვავებით, საქართველოში ზოგიერთი ჩინოვნიკი იმიტომ ხდება ჩინოვნიკი, რომ ზუსტად სკამის მეშვეობით მოიპოვოს გავლენა, „შავი ფული“ და ვიღაცის ოჯახი გაამწაროს, რაც განვლილმა წლებმაც დადასტურა.



**„იქ, სადაც კონკრეტული თანამდებობის პირის ბრძანებისა და განხორციელებული ოპერაციის შედეგად, ვიღაცის სიცოცხლე შეეწირა, ვიღაცის ქონება და რეპუტაცია შეიბღალა და ადამიანს ფიზიკური და მორალური ზიანი მიადგა, მიდგომა განსხვავებული უნდა იყოს. სწორედ ე.წ. „თეთრ საყელოებს“ უკავშირდება საქართველოში ბოლო წლებში განსაკუთრებულად მძიმე დანაშაულის ჩადენა. სისხლის სამართლის კოდექსი „თეთრი საყელოს“ კატეგორიას იცნობს, როგორც სპეცსუბიექტს და, რაც უფრო მეტი უფლება აქვს ჩინოვნიკს, მით მეტი პასუხისმგებლობა მართებს. ამიტომაც ცალკეა გამოტანილი თანამდებობრივი დანაშაული“,** — აცხადებს კახა კახიშვილი.

ამასთან, „თეთრი საყელოს“ დანაშაულის კატეგორიაში ექსპერტი გამოარჩევს ბიზნესმენებს, რომელთა მიმართაც განსხვავებულ მიდგომას ითხოვს. კერძოდ, თუ მათ მოქმედებაში არ არის განსაკუთრებით დიდი ოდენობის ზარალი, მაშინ აღმკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობა არ უნდა შეეფარდოთ. რაც შეეხება დანარჩენ კატეგორიას — თანამდებობის პირებს, მოსამართლეებს, პროკურორებს, მათთვის სასჯელის შეფარდებისას დიფერენცირებული მიდგომები უნდა არსებობდეს.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე **ზაზა ხატიაშვილი** აცხადებს, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ „ქართულმა ოცნებამ“ დაპირებული სამართლიანობა არ აღადგინა, არც დაპირებული სამართლიანი სასამართლო არსებობს. მეტიც, ახალი ხელისუფლების ჩინოვნიკებმა იმ დანაშაულის ჩადენა დაიწყეს, რაშიც იმხილებოდა ძველი ხელისუფლება. ამიტომ „თეთრი საყელოს“ პრინციპით ძველი ხელისუფლების დანდობა არის ავანსი, რათა ახლებმაც გააგრძელონ ძველი ჩინოვნიკების მიერ ჩადენილი დანაშაული.

**„ძველი ხელისუფლების წარმომადგენლები არ ისჯებიან მოქალაქეების წამების, შეურაცხყოფის გამო. ისეთი დანაშაულებიც გამოვლინდება, რომლებიც ფინანსურ ხასიათს ატარებს. ივანიშვილს რომ წინასწარ ეთქვა, რომ სამართლიანი სასამართლოს პრინციპებს დაარღვევდა, ან რომ ეთქვა, დამნაშავეთა მიმართ კოაბიტირებული ვიქნებიო, ვინ დაუჭერდა მხარს?! ამიტომ, ეს განცხადება არის საარჩევნო პიარი, რათა მეორე პლანზე გადაიტანოს ახალმა ხელისუფლებამ ყურადღება. სამოქალაქო საზოგადოება ველოდით, რომ ის ხალხი, რომლებიც ჩვენ გვებრძოდა, საბრალდებო სკამზე დასხდებოდა და, მინიმუმ, თანამდებობებს დატოვებდა. არა მგონია, ეს დროის მოგება იყოს და საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ შეიცვალონ“,** — აცხადებს ზაზა ხატიაშვილი.

პარლამენტის საპროცედურო კომიტეტის თავმჯდომარის **ირინე იმერლიშვილის** აზრით, აქ საუბარი არ არის მაღალი რანგის მოხელეებზე, პოლიტიკოსებზე და დანაშაულის არქიტექტორებზე, არამედ „თეთრი საყელოს“ პრინციპის მიღმა უნდა იგულისხმებოდეს ძველი ხელისუფლების დაბალი რანგის მოხელეების ამნისტია, რის შესახებაც თავის დროზე პრემიერ-მინისტრი და უმრავლესობის წევრები საუბრობდნენ.

**„თეთრი საყელოს“ პრინციპის მიღმა კონკრეტულად რომელ რანგს გულისხმობენ, არ ვიცი. მე პირადად მომხრე ვიქნებოდი, დაბალი რანგის თანამდებობის პირებს ეპატიოთ დანაშაული, თუკი ეს დანაშაული არაძალადობრივი ტიპის იყო. იმდენად სისტემური გახლდათ დანაშაული და ვერტიკალში მიდიოდა, იმდენად პირდაპირი დავალება იყო დაბალი რანგის პირების მიმართ, რომ ყველა საქმეს თუ გავყვებით, სამწუხარო შედეგს მივიღებთ“,** — გვითხრა ირინა იმერლიშვილმა.

**მარიამ ლოლაშვილი**

## დედაქალაქი

**თბილისში პარკებისა და სკვერების აშკარა უკმარისობა რომაა, დედაქალაქში მცხოვრებნი კარგად ხედავენ. ბუნება კი გვაძლევს იმის შესაძლებლობას, რომ ჩვენი უსაყვარლესი ქალაქი წლის ნებისმიერ დროს ერთიანად სიმწვანეში, ყვავილებში ჩაფლული იყოს, მაგრამ ამ ღვთის ნაბოძებ სიკეთეს, ჩვენდა სამწუხაროდ, მარტო უყაირათოდ კი არ ვიყენებთ, მავანთა ხუშტურზე, უფრო ხშირად კი ჯიბის გასასქელებლად თუ რაღაც ამბიციების დასაკმაყოფილებლად მამებისა და პაპების გაშენებულ-მოვლილსაც ბარბაროსულად ვსხეპთ. ამის ბევრი მაგალითის მოყანას არ შევუდგები, ნათქვამის დასტურად მხოლოდ საბურთალოზე ყოფილი კაფე „ჩარგლის“ ტერიტორიაზე უზარმაზარი ნაძვების მოჭრას, ასათიანის ქუჩაზე ყოფილი ფსიქიატრიული ცენტრის საგულდაგულოდ შემოღობილ ტერიტორიაზე, ხეების უმოწყალო ჩეხვას ვახსენებ, რაც გარშემო მცხოვრებთა დიდი, მაგრამ ჯერჯერობით უშედეგო აღშფოთების მიზეზია.**

**მწვანე ნარგავთა, მოქალაქეთა დასასვენებელი თუნდაც პატარ-პატარა ადგილების უკმარისობა განსაკუთრებით ქალაქის ცენტრში იგრძნობა, სადაც ავტომანქანების გამონაბოლქვი საშინლად აბინძურებს გარემოს, ლამის უჟანგბადო ჰაერს გვასუნთქებს. ამიტომაც, ვფიქრობ, გასაკვირი არ არის, რომ როცა ორიოდე დღის წინათ პეკინის ქუჩაზე „ბუკიას ბაღად“ ცნობილ სკვერს ჩავუარე და შემოღობილი ვნახე, ამის მიზეზით დავინტერესდი. მეტროს ამოსასვლელთან გამოკრული ბანერს მოვკარი თვალი, სადაც სკვერის რამდენიმე მომავალი ხედი იყო გამოსახული, ცნობისმოყვარეობამ კი ბუკიას ბაღის „სამშენებლო მოედანზე“ მიმიყვანა.**




# ბუკიას ბაღის ნაძვები, კივი და ბანანი



აღმოჩნდა, რომ სარეკონსტრუქციო სამუშაოებს კერძო მრავალპროფილიანი ფირმა „გრინ სტუდიო“ (დირექტორი — გრიგოლ ალანია) აწარმოებს, რომლის მოღვაწეობის ერთ-ერთი მიმართულება პარკებისა და სკვერების კეთილმოწყობაა. ბაღში ეწყობა ბავშვთა სათამაშო მოედანი, ფანჩატური, დეკორატიული აუზი, საყვავილეები, განათება, დაიდგმება კოპწია სკამები, დაირგვება ნაირ-ნაირი ბუჩქები. მასპინძლებს საგანებოდ ძველი ნარგავების ამბავი გამოვკითხე, რაზეც მითხრეს, რომ ივნისში დაწყებული სამუშაოების დროიდან მოყოლებული, რომელთა დასრულებას სექტემბერში აპირებენ, არც ერთი ხე ან ბუჩქი არ მოუჭრიათ, ხოლო რამდენიმე, ბუჩქი, რომელიც ახალ დაგეგმარებაში „არ ჯდებოდა“, უბრალოდ სხვა ადგილებზე გადარგეს.

ამით ჩემი ჟურნალისტური ცნობისმოყვარეობა დაკმაყოფილებულად ჩავთვალე და დამშვიდებასაც ვაპირებდი, მაგრამ ერთმა ფრაზამ საუბარი გამაგრძელებინა, რომელმაც შემდგომ წინამდებარე წერილს სხვა, ჩემი აზრით, უფრო ლაზათიანი ელფერი შესძინა.

— სკვერის შიგნითა მხარეს კი, ბატონო, არ ვეხებით, რადგან ის ტერიტორია საპატრიარქოს პატრონაჟის ქვეშაა და მის მოვლა-პატრონობასაც იგი განაგებსო, — მითხრეს.

სიმართლე გითხრათ, გზაჯვარედინზე, სკვერის უკანა მხარეს, ასეთ სასწაულს თუ ვნახავდი, არ წარმომედგინა. აღმოჩნდა, რომ ბუკიას ბაღის ეს ფერდობის მხარე, 8 500 კვადრატული მეტრის ფართი, თბილისის მერიამ საპატრიარქოს მოვლა-საპატრონოდ 2003 წლის თებერვალში გადასცა, რასაც ამჟამად პატრიარქის ლოცვა-კურთხევით დედა თეკლე კურირებს. ამ საოცრად ლამაზ ბაღში, რომელსაც აყვავებულ ბუჩქებს, ყვავილებს, ვაზსა და ხეხილს შორის ლამის საუკუნოვანი ნაძვები დაბურული ტყის იერს უქმნიან, მცირე სარეკონსტრუქციო სამუშაოები კი მიმდინარეობს, თუმცა კი საბოლოოდ რა დანიშნულება ექნება ამ დიდებულ ადგილს, ჯერჯერობით ცნობილი არ არის.

ეს და კიდევ ბევრი სხვა საინტერესო ამბავი ბაღის მომვლელმა, სათნო პიროვნებამ ბატონმა მიხეილ ბუკიამ მიამბო, რომელიც, თურმე, მირიან ბუკიას შთამომავალია, რომლის სახელი ამ ადგილს ჰქვია. სწორედ მან მიამბო ის, რაც აქამდე არ ვიცოდი: 1932 წელს, იალტის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, თბილისში ჩამოსული ახალგაზრდა აგრონომი მირიან ბუკია ქალაქის ამ, იმ დროს დაჭაობებულ მხარეში დასახლებულა, მერე კი იქ ბაღის გაშენების აზრი გასჩენია, რის თაობაზე ხელისუფლებისთვის მიუმართავს ნებართვის თხოვნით. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ლავრენტი ბერიას ჩანაფიქრი მოუწონებია, რის შემდეგ მიხეილ ბუკია საქმეს შედგომია — ჭაობი ქვიშით ამოუშრია, ზედ იყალთოს მთიდან ურიკით ჩამოტანილი ნოყიერი მიწის საფარი მოუგია, ქარსაფარი ზოლის ხეები ჩაუყრია. და, რაც, ალბათ, განსაკუთრებით გამოსაკვეთია, ყველაფერს საკუთარი სახსრებით აკეთებდა. მერე კი, ჟამიანობის დროს, მიხეილ ბუკია კრასნოიარსკის მხარეში გადაუსახლებიათ, სადაც ცხრა წლის შემდეგ გარდაცვლილა კიდეც, თუმცა კი გამრჯე, მეურნე კაცს თავი იქაც გამოუჩენია — უმძიმეს წლებში თავსაც და მასავით გაუბედურებულ თანამოძმეებსაც სათბურში საკუთარი ხელით მოყვანილი პამიდვრით არჩენდა.

მამის სიკვდილის შემდეგ ბაღს მისი ქალიშვილები უვლიდნენ, რომელთა გარდაცვალების მერე აგერ უკვე რამდენი წელია საქმეს მირიან ბუკიას ბიძის შვილიშვილი, დამსახურებული აგრონომი მიხეილ ბუკია განაგრძობს, სწორედ მისი დარგულია ყვავილებით სავსე ბაღში ჩვენებური ვაზის, ხეხილის და უზარმაზარი ნაძვების გვერდით უცხო მხარეთა „სტუმრები“ — ზეთისხილი, კივი, ბანანი, ტეკომა...

**ულამაზესი დრო გავატარე ბატონ მიხეილთან საუბარში, სულითაც დავისვენე და ფილტვებსაც „შვება მივეცი“, იქიდან წამოსული კი გული იმ სიკეთით მქონდა გათმბარი, რომლითაც ამ ბაღის ჩამყრელი საზრდოობდა, ალბათ, როცა საშვილიშვილო საქმეს აკეთებდა.**

**ოთარ ტურაბელიძე,**
**ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო**

## ფეხბურთი





# რა საჭიროა ველოსიპედის გამოგონება?

**მოგეხსენებათ, მიზანი ამართლებს საშუალებას. ჰოდა, რაღა საჭიროა ველოსიპედის გამოგონება, როცა წარმატებისთვის მზა რეცეპტი არსებობს?**

**გულშემატკივრებმა იციან, რომ რამდენიმე დღის წინათ თბილისის „დინამომ" ჩემპიონთა ლიგის II საკვალიფიკაციო რაუნდის სასტარტო მატჩის ბედი შესვენების შემდეგ გადაწყვიტა და ფარერის კუნძულების „სტრეიმური" გაანადგურა — 6:1: აღსანიშნავია, რომ თამაში პაპანაქება სიცხეში დაიწყო და თაკარა მზით გათანგულ ჩრდილოელებს მეორე ტაიმში, რომ იტყვიან, სული ამოუვიდათ.**

თანამემამულეებს ევროპის ლიგაში მოასპარეზე გორის „დილას" ფეხბურთელებმაც მიბაძეს, რომლებმაც დანიის „ოლბორგთან" მატჩი კიდევ უფრო ადრე დანიშნეს და უფერული პირველი ტაიმის შემდეგ, როცა რამდენჯერმე გადაურჩნენ მეტოქეს, ვფიქრობთ, ვადამდე გადაჭრეს შემდგომ ეტაპზე გასვლის საკითხი — 3:0 (0:0). **გოლები:** მოდებაძე, გორელიშვილი — 2.

მიგვაჩნია, რომ ახალი სპონსორით („სალერი", რომელიც ტურინის „იუვენტუსსაც" აფინანსებს) და რამდენიმე დებიუტანტით (რევიშვილი, ალექსიძე, ბოლქვაძე, კობახიძე) ზურგგამაგრებულ საქართველოს ვიცეჩემპიონს გიორგი დევდარიანის თავკაცობით თავისუფლად შეუძლია ჯგუფურ ტურნირში შეზიჯება.

სხვათა შორის, შიდაქართლელები შარშანაც იოლად გაუსწორდნენ დანიურ კლუბ „ორჰუსს", რომელსაც შინაც სძლიეს და სტუმრადაც.

**„თუნი" (შვეიცარია) — „ჩიხურა" (საჩხერე) 2:0.**

**გია პლატონიშვილი**

## ევროტურნირები

# წილი ნაყარია

**გუშინ შვეიცარიის ქალაქ ნიონში, უეფას შტაბ-ბინაში გაიმართა ევროპის საკლუბო ტურნირების მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის კენჭისყრა, რომელმაც ქართული გუნდების სავარაუდო მეტოქეები გამოავლინა.**

**ჩემპიონთა ლიგა**

**30 ან 31 ივლისი და 5 ან 6 აგვისტო**

„დინამო" (თბილისი) ან „სტრეიმური" (ფარერები, პირველი მატჩი 6:1) — „სტიაუა" (რუმინეთი) — „ვარდარი" (მაკედონია, პირველი მატჩი — 3:0).

**ევროპის ლიგა**

**1 და 8 აგვისტო**

„ჰაიდუკი" (ხორვატეთი) ან „ტურნოვო" (მაკედონია, პირველი მატჩი — 2:1) — „დილა" (გორი) ან „ოლბორგი" (დანია, პირველი მატჩი — 3:0).

„სპარტა" (ჩეხეთი) ან „ჰეკენი" (შვედეთი, პირველი მატჩი — 2:2) — „ჩიხურა" (საჩხერე) ან „თუნი" (შვეიცარია, პირველი მატჩი — 0:2).

## ოლიმპიური ფესტივალი

# „ოქრო-ბრინჯაოს" „ვერცხლიც" მოჰყვა

**უტრეხტში (ჰოლანდია) მიმდინარე ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალზე, როგორც გაუწყეთ, ქართველმა ძიუდოისტებმა ორი ოქროს და ამდენივე ბრინჯაოს მედალი დაიმსახურეს. მონაგარს ასპარეზობის ბოლოსწინა დღეს კიდევ ორი ჯილდო მიემატა, ამჯერად — ვერცხლისა.** კვარცხლბეკის მე-2 საფეხურზე ისევ ძიუდოისტები — თამაზ კირაკოზაშვილი (73 კგ) და იესო კვირიკაშვილი (81 კგ) ავიდნენ. კირაკოზაშვილი პაექრობებში მეორე წრიდან ჩაერთო — სლოვენიელ მარტინ ჰოჟანსა და ფინელ ოსკარ ტვაურს მხოლოდ გაფრთხილებებით აჯობა, ნახევარფინალში ჩერნოგორიელი არსო მილიჩი წუთნახევარში ორი ვაზარით დაამარცხა, გადამწყვეტ პაექრობაში თურქ ისლამ აბანოზს იუკო აართვა, მაგრამ მესამე წუთზე საკუთარ ფანდზე წამოეგო და იპონით დამარცხდა.

ოთხი სუფთა გამარჯვება მოიპოვა კვირიკაშვილმა: ფინალისკენ ზედიზედ ჩამოიშორა გზიდან გინტს ბუმეისტერსი (ლატვია), ალეს ვასილევი (ბულგარეთი), მაქსიმილიან შნაიდერი (ავსტრია) და ფრანკ დე ვიტი (ჰოლანდია), თუმცა ოქროს მედლისთვის ორთაბრძოლა რუსეთის ნაკრების წევრ მიხაილ იგოლნიკოვთან იპონითვე წააგო.

ჰოლანდიურ ტატამზე ძალები მოსინჯა ხატია ჯანაშვილმაც (63 კგ), მაგრამ შეჯიბრებას სტარტზევე გამოეთიშა — პაც ლიბელთან (ისრაელი) იპონით წააგო. სიგრძეზე მხტომელმა მარიამ ძაგნიძემ და სამმხტომელმა გოგა მაღლაკელიძემ მეხუთე ადგილები დაიკავეს.

**ლაშა დიდია**

## ჩოგბურთი

# ტატიშვილმა სერენა სამჯერ დააბრეიკა, თუმცა...




**შვედეთის ქალაქ ბასტადში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირის (საპრიზო ფონდი 235 ათასი დოლარი) მერვედფინალში ანა ტატიშვილი პირველ ნომრად განთესილ სერენა უილიამსს დაუპირისპირდა და მარცხი განიცადა — 2:6, 3:6.**

ქართველმა ჩოგბურთელმა ამერიკელი ვარსკვლავის მოწოდების მოგება სამჯერ მოახერხა, თუმცა, საკუთარ მოწოდებაზე ძალიან სუსტად გამოიყურებოდა და მხოლოდ ორჯერ იმარჯვა.

ტატიშვილი ბასტადში რჩება და დღეს წყვილთა ტურნირის მეოთხედფინალში ითამაშებს. ანა უკრაინელ ირინა ბურიაჩოკთან გახლავთ შეამხანაგებული და იტალიურ-რუმინულ (პენეტა-დულგერუ) დუეტს დაუპირისპირდება.

უკვე ცნობილია, რომ წარმატების შემთხვევაში ტატიშვილი და ბურიაჩოკი ნახევარფინალში ესპანელებს — არუაბარენას და დომინგეს ლინოს ეთამაშებიან.

* * *

**გერმანიის ქალაქ დარმშტადტში ქართველი ჩოგბურთელები არ გაახარა რუსმა იანა სიზიკოვამ. მან პირველ წრეში სოფო ქვაცაბაიას 7:5, 2:6, 7:6 (7:3) სძლია, მერვედფინალში კი ეკატერინე გორგოძე 4:6, 6:4, 6:2 დაამარცხა. ცნობისთვის, პირველ წრეში გორგოძემ მე-2 ნომრად განთესილი ბელარუსი ალიაქსანდრა სასნოვიჩი 6:1, 6:4 დაამარცხა.**

წყვილებში ქართველი გოგონები მე-4 განთესვით ასპარეზობენ და ჯერჯერობით წინ მიიწევენ. საწყის რაუნდში გორგოძე და ქვაცაბაია ჰოლანდიურ-გერმანულ დუეტთან (ბურგერი-ჰოფმანი) 4:6, 3:3 მარცხდებოდნენ, როდესაც ერთ-ერთი მეტოქის ტრავმის გამო თამაში აღარ გაგრძელებულა.

მეოთხედფინალში ქართველებმა გერმანელ ჰეისენს და სლოვენიელ პრისლანს 6:4, 6:3 სძლიეს, ნახევარფინალში კი პირველი განთესვის მქონე გერმანელ შაკოვეცს და სლოვენიელ ზეჩ-პესკარიჩს გაეჯიბრებიან.

**ვიტალი ჯაფარიძე**

## სატრანსფერო ბაზარი

### ვერონი „ესტუდიანტესში" დაბრუნდა



**ხუან სებასტიან ვერონმა დიდ ფეხბურთში დაბრუნების სურვილის გამხელიდან ორიოდ დღეში ოფიციალური კონტრაქტიც გააფორმა. არგენტინის ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი უახლოესი ერთი წლის განმავლობაში „ესტუდიანტესში" ითამაშებს — იმ კლუბში, რომლის რიგებშიც შარშან ფეხბურთელის კარიერა დაასრულა.**

„ესტუდიანტესის" ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ 38 წლის ფეხბურთელს გუნდისთვის დახმარების გაწევა ჯერაც შეუძლია.

### „მილანმა" ერიქსენთან პირადი კონტრაქტი შეათანხმა

**იტალიური „მილანი" დანიის ეროვნული ნაკრებისა და ამსტერდამის „აიაქსის" ნახევარმცველ კრისტიან ერიქსენის შეძენას გეგმავს.**

**Panorama-ს ცნობით, იტალიელები 21 წლის ნიჭიერი ფეხბურთელის შეძენას ნახევარმცველ კევინ-პრინს ბოატენგის გაყიდვით მიღებული თანხით გეგმავენ. მილანელები 26 წლის განელის გასხვისებით 13 მილიონი ევროს მიღებას ვარაუდობენ, ერიქსენის ტრანსფერი კი 15 მილიონად ფასდება.**



დავძენთ, რომ „მილანმა" ახალგაზრდა დანიელთან პირადი კონტრაქტის დეტალები უკვე შეათანხმა. საუბარია 4-წლიან კონტრაქტზე, რომლის თანახმადაც ერიქსენი ანაზღაურების სახით გადასახადების დაფარვის შემდეგ წელიწადში 2 მილიონ ევროს მიიღებს.

აღსანიშნავია, რომ კრისტიანის შეძენა ინგლისის „ლივერპულს", იტალიურ „რომას" და ლევერკუზენის „ბაიერსაც" სურდათ. ერიქსენმა, რომელიც „აიაქსში" 2008 წლიდან ირიცხება, ჰოლანდიის ჩემპიონატის გასული სეზონის 33 მატჩში 10 გოლი გაიტანა. ქვეყნის ეროვნული გუნდის მაისურით მან 2010 წლიდან დღემდე 36 თამაშში მიიღო მონაწილეობა და 3 გოლი მიითვალა.

### ფაბრეგასი „მანჩესტერ იუნაიტედში" არ ითამაშებს



**ესპანური სპორტული გამოცემების ცნობით, „ბარსელონას" ნახევარმცველ სესკ ფაბრეგასის „მანჩესტერ იუნაიტედში" გადასვლა საბოლოოდ გამოირიცხა.**

მანჩესტერელთა სამწვრთნელო შტაბის ფაბრეგასით დაინტერესების თაობაზე ბოლო დროს ევროპულ ჟურნალ-გაზეთებში ძალიან ბევრი დაიწერა. ტრანსფერის განხორციელების პერსპექტივას წერტილი კატალონიური კლუბის ხელმძღვანელებმა დაუსვეს, განაცხადეს რა, რომ ფეხბურთელის გაშვებას არანაირი თანხის სანაცვლოდ არ გეგმავენ.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინანდელი ინფორმაციით, „მანჩესტერ იუნაიტედი" მზად იყო, სესკ ფაბრეგასში 35 მილიონი ევრო გადაეხადა.

**გიორგი შოთაძე**

## ინტერნეტიდან

# გულის გამნმგმირავი ალიონა შიშკოვა



**უმშვენიერესი რუსი მოდელი ალიონა შიშკოვა ბოლო დროს თურმე ჰოკეიმ გაიტაცა და რუსული გუნდების შეხვედრებს ხშირად ესწრება. რუსეთში დადის ხმები, რომ ალიონა ერთ-ერთ რუს ჰოკეისტს ეტრფის, მაგრამ კონკრეტულად ვის — ამის დადგენა ჯერჯერობით ვერ მოხერხდა.**

სლავთა მიწაზე ბევრი ლამაზი ასული დააბიჯებს, მაგრამ ფოტოებიდან თავადაც მიხვდებით, რომ ალიონა შიშკოვასთანა ლამაზი და მოხდენილი ქალი სრულიად სლავეთშიც კი იშვიათია. ალიონა დაახლოებით ათამდე ევროპული სამოდელო სახლის სახეა და მასზე, შეიძლება ითქვას, რომ ტაციაობაა. არცაა გასაკვირი...

**როსტომ რაჭველიშვილი**

უცხოეთის პრესიდან

თანამედროვეობის ისტორია

# როგორ გაყიდეს ბერია თანამებრძოლებმა



ბერიასი ბევრს ეშინოდა, იგი სტალინის მეგობრად მიაჩნდათ (ფოტოზე ის ბელადის ქალიშვილ სვეტლანასთან ერთად ჩანს). და მისი დაპატიმრების შემდეგ ყოფილმა „თანამებრძოლებმა“ სრულად მოიოხეს სული...

**60 წლის წინათ, 1953 წლის 26 ივნისს, კრემლში დააპატიმრეს ლავრენტი ბერია. იმ დროისთვის ის იყო სსრ კავშირის მარშალი, შინაგან საქმეთა მინისტრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი.**

**მარშლები და გენერლები, ჩინოვნიკები და მეცნიერები, კულტურის მოღვაწეები, აგრეთვე ჩვეულებრივი მოქალაქეები ელოდნენ ორი კვირა. 10 ივლისიდან, კი, როდესაც გამოქვეყნდა ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება „ბერიას დანაშაულებრივი ანტიპარტიული და ანტისახელმწიფო მოქმედებების შესახებ“, ერთხმად დაიწყეს წერა. სამხედროები წერდნენ თავდაცვის მინისტრს ნიკოლაი ბელგანინს, დანარჩენები — მთავრობის მეთაურს გიორგი მალენკოვს. რუსეთის სახელმწიფო არქივში დაცულ სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის ოდესღაც საიდუმლო საქაღალდეებში ყოფილ თანამებრძოლზე ასობით დასმენაა.**

### „უნიჭო და გონებაჩლუნგი მომხვეჭი“

**რუსეთისა და საბჭოთა კავშირის ქალაქებში ყოველთვის იყვნენ საპატიო მოქალაქეები. მაგრამ ცოტამ თუ იცის, რომ არსებობდა ისეთი წოდება, როგორიცაა „სსრ კავშირის საპატიო მოქალაქე“ და ეს წოდება ჰქონდა არა ლენინს, არა სტალინს, არა ბრეჟნევს. სახელმწიფოს ერთადერთი საპატიო მოქალაქე იყო ლავრენტი პავლეს ძე ბერია!**

საპატიო მოქალაქის სიგელის ისტორიაზე გვიამბო გენერალ-მაიორმა ვასილი მახნევმა, სამდივნოს უფროსმა №1 სპეციალური კომიტეტისა, რომელიც ატომური ბომბის შექმნაზე მუშაობდა. მას ესმოდა, რომ ბერიას შემდეგ შეეძლოთ მასაც მისდგომოდნენ. ამიტომ ჩაიდინა წინმსწრები მოქმედება: მოინანია და ამასთან ერთად პისტოლეტში ვაზნაც ჩადო. ის მალენკოვს სწერდა: **„თქვენ, ალბათ, გახსოვთ, რომ 1949 წლის ბოლოს ბერიამ... მიიღო განსაკუთრებული მადლობა ატომურ ბომბთან დაკავშირებული წარმატებული ხელმძღვანელობის გამო და მიიღო სტალინური პრემია. და აი, ამის შემდეგ თავი „ისტორიულ პიროვნებად“ წარმოადგინა. მან მოითხოვა, შეეკვეთათ მისთვის ხაზინაში ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს საპატიო სიგელი სტალინისა და თქვენი ხელმოწერით ტარსიკონის განსაკუთრებულ საქაღალდეში (საქაღალდე შემორჩენილია, სიგელის ტექსტი კი მე ჯერ კიდევ შარშან დავხიე)“.**

ის სიგელი არის სწორედ სსრ კავშირის საპატიო მოქალაქის მოწმობა. თუმცა, ვფიქრობ, ის მახნევმა დახია არა „შარშან“, არამედ იმ დღეს, როდესაც ბერია დააკავეს, თავად იგი კი თანამდებობიდან გაათავისუფლეს...

თავის გადარჩენის მიზნით მახნევი წერდა იმის შესახებაც, რომ თავადაც „დაზარალდა“ მარშალისგან: **„ბერია არ იტვირთავდა თავს არსებითად საქმის გარჩევით, იყენებდა დაშინებისა და დაცინვის იარაღს, „დაგიჭერთ“, „მტვრად გაქცევთ“, „თქვენ საეჭვო კაცი ხართ — ვერ გენდობით“, „თქვენ არ ხართ პატიოსანი ადამიანი“ — აი დაშინებისა და აბუჩად აგდების არსენალი, რასაც მე და ჩემი ამხანაგები განვიცდიდით . მას ისტერიკამდე, უმძიმეს დაავადებამდე მივყავდით“.**

აი, ბოლოში კი, როგორც წესი, ბოდიშს იხდის: **„იმის გათვალისწინებით, რომ ბერიას ხალხის წინაშე ჰქონდა შექმნილი ი.ბ. სტალინის „ნიჭიერი“ თანაშემწის შარავანდედი, ჩემ მიერ გადმოცემული ფაქტები დაგეხმარებათ, გამოააშკარაოთ ეს უნიჭო, გონებაჩლუნგი და ბინძური მომხვეჭელი... მე, როგორც ყველა სხვანი, დამნაშავე ვარ იმაში, რომ ბრმად ვენდობოდი მას, მიმაჩნდა იგი როგორც ამხ. სტალინის უახლოესი თანამებრძოლი...“**

**ბერიას გააშკარავებული დღიურები საიტზე KP.RU/7349**

დროულად დაწერილმა დასმენამ გადაარჩინა მათი ავტორი: მახნევმა ბერიას დახვრეტის შემდეგ დაიკავა საშუალო მანქანათმშენებლობის სამინისტროს სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და საერთაშორისო ურთიერთობათა სამმართველოს უფროსის წყნარი და მშვიდი პოსტი. რასაკვირველია, სოციალისტური შრომის გმირისა და სტალინური პრემიების ლაურეატისთვის ეს დაქვეითება იყო, მაგრამ ის — ბერიას მოადგილე და „კანცელარიის უფროსი“ — არა თუ არ დაუხვრეტიათ, არც კი დაუჭერიათ. აი რას ნიშნავს აპარატის მუშაკის ოსტატობა და უნარი, ალღო აუღო ვითარებას!

### ლამის ომი არ წააგო

**თავისი წვლილი ბერიას ბრალდებების ყველა ცოდვაში დაუყოვნებლივ შეიტანეს სხვადასხვა რანგის სამხედროებმა. ისინი წერდნენ ბევრს და სიამოვნებით, თუმცა არც აღნუსხულან თავიანთ მსჯელობათა არგუმენტირებაზე. მაგალითად, ვოროშილოვის სახელობის უმაღლესი სამხედრო აკადემიის მასწავლებელი, პოლკოვნიკი მელნიკოვი თავდაცვის მინისტრს სწერდა:**

„... 1942 წელს ბერია... დახვრეტითა და სხვადასხვა უბედურებებით ემუქრებოდა კრასნოდარის მხარის საქალაქო კომიტეტების მდივნებს იმისთვის, რომ ისინი... მოითხოვენ სამუშაო ძალებს თავდაცვითი სამუშაოებისათვის“.

მარშალმა სემიონ ბუდიონმაც მისწერა წერილი მინისტრს, გაამახვილა ყურადღება იმ დროზე, როდესაც იგი, ჩრდილოეთი კავკასიის ფრონტის სარდლად ყოფნის დროს ედავებოდა ბერიას. მას შემდეგ, რაც ბერია „არ დაეხმარა“ მომარაგებაში და „შეაჩერა“ კიდეც ჯარების მომარაგება საბრძოლო მასალებითა და სურსათით, აგრეთვე არ გადასცა ბუდიონის მე-20 სამთო დივიზია, მან „ვერ შეიკავა თავი... გამოეხატა ბერიას მისამართით თავისი უკმაყოფილება... და მაგრადაც გამოელანძღა იგი“. ბუდიონის აზრით, იგი სწორედ ამის გამო გაიწვიეს. შემდეგ კი მარშალმა გასაოცარი დასკვნა გააკეთა:„მისი მოქმედებანი ჩრდილოეთი კავკასიის ფრონტისა და პირადად ჩემდამი, უეჭველია, იყო მავნე, აგრეთვე ის მთელი ძალებით ცდილობდა, გაეშვა გერმანელები შავი ზღვის სანაპიროსკენ. ვფიქრობ, რომ ბერია, როგორც ჩვენი სამშობლოს მტერი, შეკრული იყო თავის უფროსებთან ამიერკავკასიის ხელში ჩაგდების შესახებ ინგლისის არმიის მიერ, რომელიც მაშინ ირანში იმყოფებოდა „სამოკავშირეო დახმარების“ სახით.

მაგრამ რეიტინგით პირველი იყო მოსკოვის კრემლის კომენდანტის ნიკოლაი სპირიდონოვის წერილი მალენკოვისადმი. ბერიას პირველ ცოდვად მან დაასახელა ის, რომ მან არ აცნობა კრემლის კომენდატურას, და მოსკოვის მთავარი უნივერმაღის (ე.წ. „გუმის“) შენობაში განათავსა სამხედრო ნაწილი არტილერიით. კომენდანტმა საინტერესო დასკვნა გააკეთა: **„ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თავმოყრით დიდი სამხედრო ნაწილისა, რომელიც საეჭვო ადამიანებისაგან შედგებოდა, კრემლთან მზადდებოდა კრემლზე თავდასხმა?“**

შემდეგ დაწერა კრემლის დაბომბვების შესახებ გერმანელების მიერ და იმის შესახებ, რომ ამაზე არავინ აფრთხილებდა. აი ყველაზე საშინელი კი იყო ბერიას დადანაშაულება იმაში, რომ ეს მისი მიზეზით იყო, რომ თურმე გერმანელები თავს დაესხნენ სსრ კავშირს მოულოდნელად და ვერაგულად: **„ეჭვს იწვევს გერმანიაში ომის წინ დიპლომატიური საქმიანობისათვის სრულიად მოუმზადებელი დეკანოზოვის სსრ კავშირის ელჩად გაგზავნის ვითარება. დიპლომატიური ხაზი და დაზვერვის ხაზი ბერიას ხელში აღმოჩნდნენ, რითაც იქნა დაფარული ჰიტლერთა ჯარების ჩვენს ქვეყანაზე თავდასხმის მოულოდნელობა. ხომ არ უნდა ვივარაუდოთ, რომ ბერიას ყველა ეს მოქმედება იყო პორაჟენული და ის ჯერ კიდევ მაშინ მიისწრაფოდა ხელისუფლებისაკენ?“**

ერთი სიტყვით, მავანი ავტორი ცდილობდა ჩაეხრჩო ბერია, მავანს მასთან დისტანცია ეჭირა, ვიღაცა კიდევ თავს იმართლებდა. ასეთი იყო მაშინდელი ზნე.

**ალექსეი ბოგომოლოვი**

Комсомольская правда!

5-11 ივლისი 2013 წ.

---

გვწერენ

## წერილი ხელს შეუწყობს ჩვენი ახლო წარსულის ობიექტურ შეფასებას

**მოგმართავთ თხოვნით, რომ გამოაქვეყნოთ ჩემი ეს გამოხმაურება საქართველოს პოლიტპატიმართა გაერთიანების თავმჯდომარის ვაჟა ჟღენტის მეტად საყურადღებო და მართალ წერილზე „მოტყუების დიპლომატია დამთავრდა“.** იგი ისეთი და იმდენი ისტორიული სიმართლითაა გაჯერებული, რომ სუნთქვას შეგიკრავს მართალ აზრს და სიტყვას მოწყურებულ კაცს. სხვა თუ არაფერი, როგორც სამტრედიელს, ისე დამეჯერება, რამეთუ მასში ასახული ამბების უშუალო თვითმხილველი ვარ.

ეს წერილი ხელს შეუწყობს ჩვენი ახლო წარსულის ასე სასურველ და საჭირო ობიექტურ შეფასებას და გააზრებას!

**დიდი პატივისცემით**

**ისიდორე ჯანელიძე,**

**ისტორიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი,პროფესორი, საქართველოს პოლიტოლოგთა ასოციაციის გამგეობის წევრი, „საქართველოს ოჯახთა ერთობის“ პარტიის თავმჯდომარე**

---

ჭინჭარსიტყვა

## ჟურნალისტური „გამოძიება“

**საქართველო ეგებ მაშინ გაითიშა,**
**გათიშული ეგებ მაშინ დაიქიშა,**
**დაქიშული სულაც მაშინ დაშამათდა,**
**დანახშირდა, დანაცრდა და დაშავქვავდა —**
**შტატებმა რომ დაუნიშნა ვაი-ვიშად,**
**მეფის ტახტზე დაუსკუპა ყვავის მიშა...**

**რამაზ ილმელი**

---

რეპლიკა

## აშშ, ევროპარლამენტის სახალხო დეპუტატები აღშფოთებულნი არიან!!!

**პატივცემულო მკითხველო, არ გაგიკვირდეთ, ისინი ხომ ჩვენი საამაყო ნაციონალური პარტიის ევროპული ვარიანტია.** სად იყვნენ და რატომ არ აღშფოთდნენ, როცა სააკაშვილმა და მერაბიშვილმა ნულოვანი ტოლერანტობა გამოაცხადეს, როცა სწორედ მერაბიშვილის ბრძანებით სასტიკად უსწორდებოდნენ მშვიდობიანი აქციის მონაწილეებს, არბევდნენ ტელეარხებს, კანონდარღვევით ართმევდნენ მოქალაქეებს კერძო საკუთრებას, როცა კლავდნენ უდანაშაულო ახალგაზრდებს, ცოცხებით და ხელკეტებით აუპატიურებდნენ პატიმრებს ციხეებში. სწორედ მერაბიშვილის მმართველობის დროს გახდა საქართველო ნარკოტრანზიტის ქვეყანა და საკმაოდ დიდი რაოდენობის ნარკოტიკი ხვდებოდა ქვეყნის შიგნით. და მრავალი სხვა „სიკეთე“.

ახლა რამ შეგაშფოთათ, ევროპელო ნაციონალებო. როგორ გაბედეს და დაიჭირეს მერაბიშვილი? წონაში დაიკლოო, იქნებ მონახულებისას სასწორი მიგეტანათ და ზუსტად გამოგეთვალათ, რამდენი დაიკლო თქვენმა მეგობარმა.

გრცხვენოდეთ, ევროპელო ნაციონალებო!

**ლონდა მდივანი**

---

**მევლუდ, თორნიკე, ლოტბერდ, ელზა და თეონა კუპატაძეები ოჯახებით ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ უჩა ბლუაშვილის ქალიშვილის**

**ელენეს**

**ტრაგიკულად დაღუპვის გამო და თანაუგრძნობენ მის ოჯახს.**

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია უსამძიმრებს უჩა ბლუაშვილს ქალიშვილის**

**ელენეს**

**ტრაგიკულად დაღუპვის გამო.**

---

ინფორმაცია

## ქართველი ბინის ქურდები რომში

**რომში, კარაბინიერების მიერ ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად, კრიმინალური დაჯგუფების წევრები, საქართველოს 37 მოქალაქე დააკავეს. უცხოური მედიის ინფორმაციით, დაკავებულთა შორის 3 ქალია.**

**სამართალდამცავების ცნობით, კრიმინალური დაჯგუფების წევრები რომსა და რომის გარეუბნებში სახლებისა და ბინების გაქურდვით იყვნენ დაკავებულები. მათივე განმარტებით, დაკავებულები იყენებდნენ ე.წ. „key bumping“-ის მეთოდს, რაც საკეტზე არ ტოვებდა გატეხის კვალს. ადგილობრივი სამართალდამცველების ვარაუდით, ე.წ. „ატმიჩკები“, რომლითაც საკეტების გატეხვა ხდებოდა, საქართველოში მზადდებოდა და იტალიაში სწორედ იქიდან იგზავნებოდა.**

**როგორც უცხოური მედია წერს, ბოლო თვეების განმავლობაში ეს უკვე მეორე სპეცოპერაციაა, რომელიც საქართველოს მოქალაქეების მიერ „ორგანიზებული დანაშაულის“ წინააღმდეგ ჩატარდა. 2012 წელს იტალიელმა სამართალდამცავებმა დააკავეს ქართული დაჯგუფების 14 წევრი. დაკავებულების ბინებში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად ამოღებული იყო ოქრო, ვერცხლი, სამკაულები და ძვირადღირებული კომპიუტერები, რომლის ჯამური ფასი 2 მილიონ ევროს აღწევდა.**

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

## ჩვენი კარაბადინი

### სქესობრივი ნიშნის მიხედვით



**ქალები და მამაკაცები ავადდებიან სხვადასხვაგვარად. ეს დაადასტურეს გამოკვლევებმა, რომლებიც გერმანიაში მოაწყვეს.**

ქალებისა და მამაკაცების ორგანიზმებს შორის სხვაობა შეეხება არა მხოლოდ კუნთოვან მასას, არამედ წყლის შემცველობასაც, ცხიმოვანი ქსოვილის განაწილებასაც. ბევრი წამალი გაცილებით დიდხანს მოქმედებს ქალის ორგანიზმში, მაშასადამე, ქალებს შემცირებული დოზირება სჭირდებათ. იმ ფაქტებსაც კი, რომ ქალებსა და მამაკაცებს მენჯის სხვადასხვაგვარი ფორმა აქვთ, ანდა რომ ქალების სახსრები უფრო მოძრავია, ვიდრე მამაკაცებისა, ამ ბოლო დრომდე არ ითვალისწინებდნენ პროთეზების წარმოების დროს.

ინფარქტები ემართებათ მამაკაცებს უფრო ახალგაზრდა ასაკში. ასევე მამაკაცებს უფრო ძნელად გადააქვთ გაციება და უფრო ხშირად იღუპებიან ფილტვების ანთებითა და გრიპით. ქალებს უფრო ძლიერი იმუნური სისტემა აქვთ. თუმცა, ეს შეიძლება მათ წინააღმდეგაც შეტრიალდეს: ქალები უფრო ხშირად იტანჯებიან აუტოიმუნური დაავადებებით, ისეთებით, როგორებიცაა რევმატიდური ართრიტი და გაფანტული სკლეროზი.

### ნაწილებად თუ ერთბაშად?

**ვარჯიშების პერიოდულობას მნიშვნელობა არა აქვს, ამტკიცებენ კანადელი სპეციალისტები ტორონტოს სამეფო უნივერსიტეტიდან.**

ივარჯიშებ ყოველდღე თუ კვირაში ერთხელ — ამას პრინციპული სხვაობა არა აქვს. მთავარია — არა ოდენობა, არამედ ხანგრძლივობა, რომ ადამიანი ასწრებდეს, შეასრულოს ფიზიკური დატვირთვის გარკვეული ნორმა. ამან უნდა შეადგინოს 150 წუთი ანუ 2,5 საათი კვირაში.



**ინფორმაციას კომენტარს უკეთებს ფიტნეს-ექსპერტი თამარ წიკლაური:**

— თავს ნებას მივცემ, რომ არ დავეთანხმო ამ მტკიცებას. ყველამ კარგად იცის ცნება კუნთოვანი მეხსიერება, რომელზეც დამოკიდებულია ყველა ჩვენი ფიზიკური დატვირთვის შედეგიანობა და ეფექტიანობა. კუნთოვანი მეხსიერება კი, უწინარეს ყოვლისა, დამოკიდებულია მეცადინეობათა რაოდენობასა და მხოლოდ მეორე რიგში — მათს ხანგრძლივობაზე, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, 5 ვარჯიში 30-30 წუთით უფრო არსებით გავლენას მოახდენს შედეგიანობაზე, ვიდრე ერთი მეცადინეობა 2,5 საათის ხანგრძლივობით.

ეს ისეთივეა როგორც უცხო ენის სწავლა. რაც ხშირად ესწრები მეცადინეობას, მით სწრაფად ითვისებ მასალას.

### გამოკითხვა

**აგროვებთ ფულს მოხუცებულობისათვის?**

**26 პროცენტი — დიახ, ვაგროვებ.**

**25 პროცენტი — არა, ჩემთვის უკვე გვიანია ამის გაკეთება.**

**22 პროცენტი — რა უნდა დააგროვო მოხუცებულობისათვის?**

**17 პროცენტი — არა, ჯერ ჩემთვის ადრეა დაგროვება.**

**10 პროცენტი — არა, შვილების დახმარების იმედი მაქვს.**

**სულ გამოკითხვაში 1035 კაცმა მიიღო მონაწილეობა.**

### გვირილა კუჭისთვის



**ზაფხულში კუჭთან დაკავშირებული პრობლემები იშვიათობა როდია. თუ გული გერევათ ან დისკომფორტს განიცდით, დალიეთ ფინჯანი გვირილის ჩაი, რომ დავაწყნაროთ კუჭი.**

● მოამზადეთ ჩაი უბრალოდ. 2-3 ჩაის კოვზ გვირილის გამხმარ ყვავილს დაასხით ერთი ფინჯანი მდუღარე წყალი და გააჩერეთ 10-20 წუთით.

● თუ გვირილა არ გვექნა, მოადუღეთ მიხაკის ჩაი. აიღეთ 10 მთლიანი მიხაკი, დაასხით 1 ფინჯანი ცხელი წყალი. ნელ ცეცხლზე ადუღეთ მიხაკი 5 წუთი. თუ ასეთი ჩაის გემო არ მოგეწონათ, დაუმატეთ ერთი ღერი დარიჩინი.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

## ჩვენი პრესდაიჯესტი

### გუშინდელი გაზეთებიდან



### „საქართველოს რკინიგზა“ მგზავრობის ტარიფთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს

**სამგზავრო** ბილეთების ფასის ტოტალურად გაზრდის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას საქართველოს რკინიგზა განცხადებით უპასუხებს, რომელშიც ნათქვამია, რომ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია სინამდვილეს არ შეესაბამება, „საქართველოს რკინიგზის“ ახალმა მენეჯმენტმა ათთვიანი ფასდაკლების სისტემა შეიმუშავა. კერძოდ, თბილისი-მახინჯაურის მიმართულებით მოძრავ დღის ახალ მატარებელზე, 16 სექტემბრიან 10 ივლისადმე, პირველი კლასის ბილეთების ფასი 40 ლარის ნაცვლად — 25 ლარი, ხოლო მეორე კლასის ბილეთები 23 ლარის ნაცვლად 18 ლარია. აღნიშნული ტარიფი მოქმედებს წელიწადში 10 თვის განმავლობაში. ხოლო საზაფხულო სეზონზე, კერძოდ, 10 ივლისიდან 15 სექტემბრამდე, 2010 წლიდან მოქმედი ფასი შენარჩუნდება.

**„ალია“**

### „ქვეყანაში ეკონომიკური სტაგნაცია და უიმედობაა“

— **აცხადებს** ეკონომისტი, პოლიტიკოსი და ლიდერთა სკოლის ხელმძღვანელი გია მაისაშვილი და დასძენს, რომ ამ ფონზე ენდია-ის კვლევის შედეგები აღარ უკვირს, „მე ამ ეპოქას „არაფრობას“ დავარქმევდი... ასეთ პირობებში, ჩემნაირი ენთუზიაზმით აღსავსე მხარდამჭერიც კი იმედგაცრუებული და გაბრაზებულია... უაზრო დაჭერაში და გამოშვებაში დრო იკარგება... მე მინდა, ყველა ჟურნალისტმა პრეზიდენტობის მსურველს ასეთი კითხვა დაუსვათ — რისთვის გინდათ პრეზიდენტობა? პოპულარობა და ფული გინდათ? პატარა ქვეყნის პრეზიდენტობა გაცილებით რთულია, ვიდრე საშუალოსი და დიდის. ასე რომ, ამას ძალიან სერიოზულად უნდა მოვეკიდოთ.

**„რეზონანსი“**

### კრიმინალურ გარჩევებს „საბას“ შემდეგ „აკვაპარკიც“ შეეწირა?

**თბილისის** აკვაპარკში ხანძარი 16 ივლისს, საღამოს გაჩნდა. სამი შენობა დაიწვა, რომლებიც ერთმანეთისგან ბილიკებითაა დაშორებული. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. ერთ-ერთი ვერსიით, თბილისის აკვაპარკი შპს „ევროპის“ მფლობელებს მიზანმიმართულად დაუწვეს. ამ ვერსიას არ გამორიცხავს აკვაპარკის ადვოკატიც. სულ ცოტა ხნის წინ, იმავე რაიონში (დიდუბე-ჩუღურეთი), სავაჭრო სახლი „საბა“ დაიწვა. მოგვიანებით დადგინდა, რომ „საბა“ დაიწვა, რათა მფლობელისთვის ფინანსური და მატერიალური ზარალი მიეყენებინათ. სავაჭრო სახლ „საბასა“ და თბილისის აკვაპარკის დაწვას ერთი და იგივე ხელწერა აქვს. გამორიცხული არ არის, რომ გადანაწილების მიზნით, ორივე ობიექტის მფლობელები კრიმინალური გარჩევების მსხვერპლად იქცნენ.

**„ვერსია“**

### „კახა კუკავა უზრდელობს“

**მეოცნებეებს** 12 ოპოზიციური პარტია დაუპირისპირდა. მათ ერთობლივი განცხადება გაავრცელეს და პრემიერთან შეხვედრა მოითხოვეს.„თავისუფალი საქართველოს“ლიდერის კახა კუკავას განცხადებით, ყველაფერი ზაქარია ქუცნაშვილმა გააფუჭა, — კახა კუკავა უზრდელობს და გადაეცით, რომ კრიტიკის თმენის ვალდებულება გვაქვს ხელისუფლების წარმომადგენლებს, მაგრამ უზრდელობის თმენის ვალდებულება — არა. ამიტომაც უზრდელებს და ტუტუცებს გადაეცით, რომ უზრდელობას და ტუტუცობას მოეშვან, — გაცხარებულია ზაქარია ქუცნაშვილი.

**„ახალი თაობა“**

## ცინცხალი ანეკდოტები

— **დიდი** სიამოვნებით დამყავს ჩემი სიდედრი აგარაკზე. იგი ბენზინის ფულს მინაზღაურებს.

— და სანამ გაგრძელდება ეს „დიდი სიამოვნება?“

— მანამ, სანამ მას სჯერა, რომ ჩემი „ოპელ ასტრა“ ას კილომეტრზე ორმოცდაათ ლიტრ ბენზინს წვავს.

* * *

— **შვილო**, როცა მოვკვდები, კი ნუ დამმარხავთ, არამედ დამწვით და ჩემი ფერფლი ამ ეზოში მოაბნიეთ, — ეუბნება სიდედრი სიძეს.

— არა, დედი, ამას ვერ გავაკეთებ, მცირე ნიავმაც რომ დაუბეროს, ისევ სახლში აღმოჩნდები!

* * *



**ტიპმა** წერილი მიიღო:

— გარდაიცვალა თქვენი სიდერი: როგორ გავაცილოთ იგი უკანასკნელ გზაზე? დავწვათ, დავაბალზამოთ თუ დავმარხოთ?

— ყველაფერი ერთად გააკეთეთ!!! გარისკვა არ მინდა!

* * *

— **შორეულ** წარსულში როგორ გამოცდიდნენ ხოლმე ხიდის გამძლეობას?

— ყველა სიდედრს გამოსაცდელ ხიდზე დააყენებდნენ. თუ გაუძლებდა, კარგი ხიდი იყო, ხოლო თუ არა, საუკეთესო.

* * *

— **სიდედრი** გარდამეცვალა, — ეუბნება ტიპი ძმაკაცს.

— რა საწყენი ამბავია... რა ჰქონდა?

— განსაკუთრებული არაფერი. დივანი, კარადა...

* * *

**მას** უყვარდა სიდედრთან მისვლა და თავის ცოლზე საყვედურების თქმა. მაგრამ ამას ხშირად ვერ აკეთებდა, რადგან სიდედრის საფლავი სხვა ქალაქში იყო.

* * *

— **მამი**, ბებომ მიკბინა! — შესჩივის პატარა ბიჭი მიხოს, რომელიც აივანზე ლუდს სვამს.

— ხომ მუდამ გეუბნებოდი, გალიაში თითი არ შეყო-მეთქი?

## კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24